წელიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ოთხშაბათი, 20 ივლისი 1932 წ. № 167 (3421)

დღიური

— თურქეთმა თანხმობა განაცხადა ერთა ლიგაში შესვლაზე.

— ივლისის საიმპერიო კონფერენცია გაიხსნება 21 ივლისს.

— ბელგიელ მაღაროელთა გაფიცვა ფართოვდება.

— მთავრობის კომისია სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცირებული უბნის მისაღებად.

ბოლშევიკურად ჩავატაროთ საკოლმეურნეო შრომისა და შემოსავლის აღრიცხვის ათდღიური

ცნობილია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცებისათვის საკოლმეურნეო შრომისა და შემოსავლის აღრიცხვის მოწესრიგებას. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მრავალ დამახინჯებებს. ბრიგადებს აწყობენ არასაწარმოო, არამედ ტერიტორიალურ, კომლობრივ, სოციალურ, ნათესაურ და სხვ. პრინციპების მიხედვით (ოზურგეთი, სამტრედია და სხვ.). ადგილი აქვს „გათანაბრების“ ოპორტუნისტულ პრაქტიკას და გაუპიროვნებას (ყვარელი, სიღნაღი, თელავი და სხვ.). არ სწარმოებს ნამუშევარის წესიერი აღრიცხვა, რის შედეგად ზოგან კოლმეურნეებმა არ იციან, თუ რა რაოდენობის შრომადღეები აქვთ მათ მიღებული, მრავალია იმის შემთხვევებიც, როდესაც შრომის წიგნაკები კოლმეურნეობის კანტორაში ინახება, მაშინ, როდესაც თვითეულ კოლმეურნის ხელზე უნდა ჰქონდეს თავისი შრომის წიგნაკი. ზოგან აღრიცხვას აწარმოებენ ჩხირებით (ცაგერი, გორი და სხვ.) და იმის მიხედვით, თუ ვინ გამოცხადდა სამუშაოზე, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ნამუშევარის ხარისხს და სხვ.

გარდა ამისა ნაკლები მეთვალყურეობა და კონტროლია დაწესებული შემოსავალზე და ავანსების გაცემაზე. ხშირია შემთხვევა, როდესაც ზოგიერთ კოლმეურნეობებში წევრებს ავანსებს აძლევენ იმის გაუთვალისწინებლად, თუ ვის რამდენი შრომა-დღე აქვს მიღებული. რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობის მოთმენა კოლმეურნეობებში ყოვლად შეუძლებელია.

საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარება ახალ საფეხურზე შედგა.

საკოლმეურნეო ვაჭრობის ფართო ქსელის გაშლა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მომსახურების გაძლიერება კოლმეურნეობების მუშაობაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს. ეს გარემოება უფრო მეტი სიმწვავით აყენებს კოლმეურნეობებში შრომის დაუყოვნებლივ მოწესრიგების საკითხს.

კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცების შესაფერ სიმაღლეზე დაყენებისა და კოლმეურნეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, საქ. კ. პ. (ბ) ცკას დადგენილებით დღეიდან, ე. ი. 20 ივლისიდან 30 ივლისამდე მთელ საქართველოში ტარდება შრომისა და შემოსავლის აღრიცხვის ათდღიური. ათდღიურის წარმატებით ჩატარებამ უნდა უზრუნველყოს საკოლმეურნეო შრომის მოწესრიგება და ხელი უნდა შეუწყოს საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომ ზრდა-განვითარებას.

ათდღიურის ჩატარება სერიოზულ ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე. ამ ამოცანების გადასაწყვეტად ათდღიურის მიმდინარეობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის საკითხებს. სახელდობრ: დღემდის გამომუშავებულ შრომადღეების გადატანას შრომის წიგნაკებში და ნამუშევარის აღრიცხვის შემდგომ უზრუნველყოფას, მისი ყოველ ხუთდღეში ერთხელ შრომის წიგნაკებში ჩაწერით, ბრიგადების საწარმოო დავალების შესრულების შემოწმებას, ნამუშევრის ხარისხის გაუმჯობესებას, შემოსავლის გამორკვევას, კოლმეურნეებისათვის მიცემული ფულადი და ნატურალური ავანსების აღრიცხვას, მისალებ პროდუქციის დაწესებას, მოსავლიანობისა და საქონლიანობის გადიდებას და სხვ.

ბრძოლა უნდა გამოეცხადოს „გათანაბრების“ ოპორტუნისტულ პრაქტიკას და გაუპიროვნებას, გარდა ამისა ათდღიურის პერიოდში ყოველმხრივად უნდა შევუწყოთ ხელი კოლმეურნეებისათვის ავანსების გაცემის მოწესრიგებას როგორც ფულადი, ისე ნატურალური სახით. მოსავლის საბოლოოდ განაწილებამდე ავანსების გაჭიანურება დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. საკ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცკას 5 ივლისის დადგენილება ჩვენ გვაფრთხილებს, რომ „საჭიროა გაუქმდეს პრაქტიკა შემოსავლის ფულადი ნაწილის გაცემის დაგვიანების, შემოსავლის საბოლოო განაწილებამდე, რასაც გასულ წელს ადგილი ქონდა მთელ რიგ რაიონებში და შემოვიღოთ ისეთი წესი, რომ ფულის ძირითადი ნაწილი, რომელსაც ღებულობს კოლმეურნეობა მის მიერ ჩაბარებული (გაყიდული) პროდუქციისათვის, ეძლეოდეს კოლმეურნეებს ავანსად მათ მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების რაოდენობის მიხედვით“. რაც შეეხება შემოსავლის ნატურალურ ნაწილს, ამ სახის ავანსი თავის დროზე უნდა მივსცეთ კოლმეურნეებს „უკვე გალეწვის დროს მიეცეს კოლმეურნეებს ავანსად შემოსავლის ნატურალურ ნაწილის ანგარიშში ფაქტიურად გალეწვის პურის 10—15 პროცენტი, რომ ავანსების განაწილება, ისე როგორც მთელი შემოსავლის განაწილება, მოხდეს მხოლოდ შრომა-დღეების მიხედვით“ (სახ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცკას 5 ივლისის დადგენილებიდან).

ათდღიურის წარმატებით ჩატარება მოითხოვს კოლმეურნეთა მასების ფართოდ დარაზმვას, რაიონული პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგენ ამ საქმეს, კამპანიაში ჩაბმულ უნდა იქნას მთელი მშრომელი მოსახლეობა. უდიდესი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს რაიონულ შტაბებს, რომლებიც უნდა მოეწყოს რაიმიწგანებთან, მობილიზაცია უნდა ეყოს რაიონის პასუხისმგებელ მუშაკებს ცალკე სასოფლო საბჭოებზე მისამაგრებლად, რომლებმაც ათდღიურის ჩატარებას კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ადგილებზე. ამას გარდა ათდღიურის ჩატარებაში ხელმძღვანელობითი როლი უნდა შეასრულოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა, რომლებმაც რაიონის სხვა სამეურნეო ორგანიზაციების ბუღჰალტერ-მთანგარიშეებთან და აგრონომებთან ერთად მობილიზაცია უნდა უყონ თავისი უბნის აგრონომებს და აგროტექნიკოსებს ათდღიურის კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. ათდღიურის პერიოდში მოწვეულ უნდა იქნას კოლმეურნეთა საერთო კრებები, რომლებმაც უნდა მოისმინონ მოხსენებები საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის მნიშვნელოვან საკითხებზე.

წინასწარ უნდა დამუშავდეს საკითხები სოფლის საბჭოებთან კოლმეურნეობის და სამეურნეო აქტივთან ერთად, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში მოწინავე კოლმეურნეობათაგან ბრიგადების გაგზავნის პრაქტიკა დახმარების გასაწევად.

უდავოა, რომ ათდღიურის წარმატებით ჩატარებაში აშკარად ხელს შეგვიშლიან მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტები და ჩვენი აშკარა კლასიური მტრები, მათი დამქაშები მენშევიკები, ტროცკისტები, და სხვ. მათ წინააღმდეგ უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები. დაუზოგავად უნდა ვებრძოლოთ ყოველი ჯურის ოპორტუნისტულ განწყობილებას და ბოლშევიკურად უნდა დავირაზმოთ ათდღიურის წარმატებით ჩასატარებლად, რათა ხელი შეუწყოთ კოლმეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცებას და ამ საფუძველზე მათ შემდგომ ზრდა-განვითარებას.

უკრაინის მესამე პარტკონფერენციის შედეგებისათვის

უკრაინის კომპარტიის (ბ) მესამე მორიგმა კონფერენციამ განიხილა ერთი საკითხი —„გაზაფხულის თესვის კამპანიის, პურის დამზადების და მოსავლის აღების კამპანიის შედეგებისა და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ამოცანების შესახებ“.

კონფერენციამ, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მივლინებულ ამხ. **კაგანოვიჩის** და **მოლოტოვის** უშუალო მონაწილეობით, სასტიკად გააკრიტიკა სოფლად მუშაობის ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომები და დეფექტები და დასახა გზები მათი გამოსწორებისათვის.

კონფერენციის რეზოლუციაში, რომელიც დღეს ქვეყნდება, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად, განვლილმა წელმა უკრაინის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში გამოაშკარავა უკრაინის მთელი რიგი სერიოზული დეფექტები და სერიოზული შეცდომები რომლებმაც ხელი შეუშალეს მიმდინარე წლის უკრაინის კოლექტიური მეურნეობის ყველა შესაძლებლობისა და ძალების მთლიანად გაშლას“. შემდეგ კონფერენციამ აღნიშნა, რომ „ყველა ეს შეცდომები და დეფექტები უკრაინის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში გამოწვეულია იმით, რომ უკრაინის კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტი უკანასკნელ პერიოდში არადამაკმაყოფილებელ პრაქტიკულ ხელმძღვანელობას უწევდა სოფლის მეურნეობას და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეს, ხოლო რაიონები არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევდენ სოფლის პარტიულ ორგანიზაციას და კოლმეურნეობებს“.

უკრაინის პარტიული ორგანიზაციები, აქცევდნენ რა ყურადღებას სოციალისტურ ინდუსტრიას, ხშირად უშვებდენ მხედველობიდან სოფელს, ივიწყებდენ, რომ სოფლის მეურნეობის საკითხები [illegible] მხრით არ ჩამოუვარდებიან მრეწველობის საკითხებს. როცა ისინი დირექტივებს აძლევდენ ადგილებს, ხშირად უშვებდენ მხედველობიდან უკრაინის ცალკე ზონების (ველი, ტყეველი, დნეპრის მარჯვენა მხარე და სხ.) ეკონომიკის თავისებურობებს, ივიწყებდენ, რომ თვითეულ რაიონს და თვითეულ კოლმეურნეობებსაც კი აქვს თავისი თავისებურობანი და ისინი მოითხოვენ დიფერენცირებულ მიდგომას.

უკრაინის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ არსებითი შეცდომებისა და დეფექტების დაშვება შესაძლებელი გახდა უმთავრესად ახალი პირობების, სოფლად მუშაობის ახალი ამოცანების არასათანადოთ გაგების და სოფლის ხელმძღვანელობის გაუპიროვნების გამო.

ბოლომდე ვერ შეიგნეს, რომ სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელი ეტაპი კიდევ უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს სოფლის მეურნეობას. ინდუსტრიის შემდგომი განვითარება მომავალშიაც იქნება მოქცეული ჩვენი ყურადღების ცენტრში, ვინაიდან ინდუსტრია და მხოლოდ იგი წარმოადგენს საფუძველს ახალი წარმატებისათვის სოფლის მეურნეობაში. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მრეწველობის ზრდა შესაძლებელია სოფლის მეურნეობისაგან დამოუკიდებლად.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის სისტემატიური განვითარების გარეშე, რაც უზრუნველყოფს მძლავრ სანედლეულო და სასურსათო ბაზას სოციალისტური ინდუსტრიისათვის, შეუძლებელია მიღწეულ იქნას მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება. მით უფრო ეხლა, როცა მალე უნდა შევიდეთ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების მეორე ხუთწლედში, რომლის მანძილზე საჭიროა პირველი ხუთწლედის დასასრულთან შედარებით ორჯერ-სამჯერ გავადიდოთ მშრომელი მოსახლეობის უზრუნველყოფა სამომხმარებლო საქონლით და საკვები პროდუქტებით.

სწორედ ამიტომ პარტია მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს ამოცანას—კიდევ უფრო განვავითაროთ სოფლის მეურნეობა გაძლიერებული ბრძოლით მარცვლეული და განსაკუთრებით ტექნიკური კულტურების მოსავლისათვის, მეცხოველეობის პრობლემის რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრისათვის, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების წარმოების მაღალი ხარისხისათვის მისი შემდგომი მანქანიზაციისა და ცხენების რაოდენობის გადიდების საფუძველზე. ჩვენ მოგვეპოვება ეს შესაძლებლობანი: საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ზრდა, სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება, სოფლის მშრომელი მასების შემოქმედებითი აქტივობის ზრდა და მათი შეურყეველი ნდობა ჩვენი პარტიისადმი.

რომ ეს შესაძლებლობანი სინამდვილედ ვაქციოთ, საჭიროა მთელი პარტიის, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მთელი მრავალმილიონიანი მასის შეუპოვარი დაუღალავი მუშაობა, უკრაინაში ჩვენ გვქონდა და გვაქვს ახალი სოციალისტური სოფლისათვის მასების ბრძოლის ბრწყინვალე ნიმუშები, მაგრამ რაიონების საგრძნობ ნაწილში ხელმძღვანელობა აშკარად ჩამორჩა.

ვერ გაიგეს სოფლად მუშაობის ახალი ამოცანები, რომლებიც სავსებით გამომდინარეობენ უკანასკნელ წლებში სოფლად მომხდარ კოლოსალურ ეკონომიურ, სოციალურ-კლასობრივ გადაჯგუფებიდან. უკრაინამ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, კლასობრივ მტრებთან, ოპორტუნისტებთან და შოვინისტებთან სასტიკ ბრძოლაში უდიდეს გამარჯვებას მიაღწია როგორც სოციალისტური მრეწველობის წარმართავი როლის გაძლიერების, ისე სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მოსავლიანობის გადიდების მხრით მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადავდგით.

საჭიროა უდიდესი მუშაობა მოსავლიანობის გადიდებისათვის, სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების გამოყენებისათვის, ტრაქტორისა და ცხენის მუშაობის მოხერხებულად შეთანხმებისა და შრომის სწორი ორგანიზაციისათვის სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის საფუძველზე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გვიჩვენონ საუკეთესო სამეურნეო ინიციატივის მასიური ნიმუშები, მიწის დამუშავების და ტექნიკური კულტურების დამუშავების, მოსავლის გულდასმით აღების მაღალი ხარისხი.

დაულეველი სამუშაო გვაქვს კოლმეურნეთა სოციალისტური აღზრდის საქმეში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კოლმეურნეობებში არსებობს კლასობრივი ბრძოლის ელემენტები, სწარმოებს ძველის და ახალის ბრძოლა.

ბოლოს, ჯერ კიდევ საკმაოდ გვყავს მშრომელი ინდივიდუალური მეურნეები— ხვალინდელი კოლმეურნეებისა, მასა რომლებიც მოითხოვენ ყოველდღიურ ყურადღებას და საჭიროებენ ღრმა აღმზრდელობით მუშაობას.

და აი, ახალ ვითარებაში გარკვევის და ახალი ამოცანების შეგნების ნაცვლად, უკრაინის ბევრი პარტიული მუშაკი დამშვიდდა და ვერ გაიგო, რომ სოფლის მეურნეობაში ადგილი აქვს ზრდის თავისებურ სიძნელეებს. გაცილებით ადვილია ქარხნის აშენება, ვიდრე მისი საწარმოო მოქმედების მოგვარება. იგივე ითქმის სოფლის მეურნეობაზე, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაზე. ზრდის სიძნელეები რთულდება იმით, რომ წინააღმდეგობას გვიწევენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასობრივი ძალები, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ ჩვენი უმნიშვნელო შეცდომებიც კი სოფლად პარტიის პოლიტიკისათვის სახელის გატეხის მიზნით.

სოფლად მუშაობის ახალი ვითარება და ახალი ამოცანები მოითხოვენ ახალ ხერხებს, ხელმძღვანელობის ახალ მეთოდებს.

აბა სცადეთ უხელმძღვანელოთ სოფელს „საერთოდ და მთლიანად“, ისე, რომ არ იცოდეთ რაიონის ან კოლმეურნეობის კონკრეტული თავისებურებანი, არ შეამოწმოთ მიღებული გადაწყვეტილებათა შესრულება, არ დაეყრდნოთ მთელს მუშაობაში მასებს და საკოლმეურნეო აქტივს, და თქვენ მაშინვე იგრძნობთ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის შენელებულ მიმდინარეობას არა მარტო რაიონში, არამედ მთელს ოლქშიაც.

საჭირო არ არის განსაკუთრებით იმის მტკიცება, რომ ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის ხელმძღვანელობის მთელი სისტემის თავიდან ბოლომდე გაუმჯობესების საკითხს, პარტიული აპარატის სწორი ორგანიზაციის და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ნამდვილად შემოწმების საკითხს. საჭიროა ძალების ისე გადაჯგუფება და ხელმძღვანელი მუშაკების ისე განაწილება პარტიული აპარატის შიგნით, საჭიროა ისეთი ყურადღება პარტიული კადრების მომზადების და მისი სწორად გამოყენებისადმი, რომ სავსებით უზრუნველვყოთ სოფლისადმი ხელმძღვანელობა ახალ პირობებში.

უკრაინაში ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთმა საოლქო კომიტეტმა დღემდე ვერ გაითვალისწინა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დაშვებული შეცდომები. დღემდე ოლქები ჯერ კიდევ ვერ ხელმძღვანელობენ რაიონის როგორც საჭიროა. საგაზაფხულო თესვის კამპანიის სიძნელეები რთულდებოდა კიდევ იმით, რომ რესპუბლიკური ორგანოები არ იცნობდენ არა მარტო რაიონებს, არამედ ზოგიერთ ოლქებსაც. ნუ თუ საჭიროა უფრო ნათელი მაგალითები ხელმძღვანელობის გაუპიროვნების დასახასიათებლად!

აქა-იქ იმ აზრის არიან, რომ რაკი ჩამოყალიბდა ოლქი, ამით რაიონი უკვე არ წარმოადგენს სოფლად სოციალისტური მშენებლობის ძირითად რგოლს. ეს სისულელეა. უკრაინაში საოლქო სისტემა სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ იგი საშუალებას გვაძლევს უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის პირობებში უფრო დავუახლოვდეთ რაიონს, სოფელს.

რაიონს, კოლმეურნეობას უნდა ვიცნობდეთ ყოველმხრივ—აგრონომიული, ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური მხრით. უნდა ვუხელმძღვანელოთ საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა მხარეებს, უნდა ჩავსწვდეთ კოლმეურნეობის ყველა საკითხებს და კოლმეურნე მასების განწყობილებას. გვერდი არ უნდა ავუაროთ „წვრილმანებს“, ვინაიდან ეხლა „წვრილმანებიდან კეთდება დიდი საქმეები“ (სტალინი). მხოლოდ ცოცხალი ხელმძღვანელობისა და არა კაბინეტიდან, სოფლიდან და კოლმეურნეობებიდან მოშორებით ხელმძღვანელობის გზით, შეიძლება შევისწავლოთ და უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება.

მასიური ახსნა-განმარტებითი და ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის შეცვლა ადმინისტრატიული მეთოდების გამოყენებით, როცა მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა მასების სოციალისტურად გარდაქმნის და კოლმეურნეთა პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებთან მოხერხებულად შეთავსების ამოცანა,—წარმოადგენს ბოროტმოქმედებას პარტიის წინაშე. „უნდა ვისწავლოთ გლეხებისათვის გაუგებარი საკითხების, მოთმინებით განმარტება, უნდა ვისწავლოთ გლეხების დარწმუნება და ამ საქმისათვის არ დავზოგოთ არც დრო და არც ძალღონე“ (სტალინი).

უნდა მოვახდინოთ გადამწყვეტი გარდატეხა სოფლად პარტიულ-მასიურ მუშაობაში. აქ ჩვენ თავს ვერ გავართმევთ ახალ ამოცანებს, თუ არ გვექნა ბრძოლისუნარიანი, მტკიცედ შეკავშირებული პარტიული ორგანიზაცია, თუ სწორად არ გავანაწილეთ და ხელმძღვანელი როლი არ მივაკუთვნეთ კომუნისტებს და კომკავშირლებს წარმოებაში და თუ არ ვაწარმოეთ ყოველდღიური შეუპოვარი მუშაობა საკოლმეურნეო აქტივის კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის.

დაუყოვნებლივ უნდა მოვუღოთ ბოლო რაიონების და კოლმეურნეობებისადმი, მშრომელთა მასებისადმი გაუპიროვნებულ, გათანაბრებულ და **ერთნაირ** მიდგომას.

ზოგიერთი დელეგატის გამოსვლა კონფერენციაზე საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ჯერ კიდევ ყველას არ შეუგნია, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მობრუნება სოფლის მეურნეობის საკითხებისაკენ, რომ მთავარია არა იმდენად ხმის მიცემა რეზოლუციისათვის, რამდენადაც მათი სწრაფად და სწორად განხორციელება.

ფაქტია, ხომ, რომ ცენტრალური კომიტეტის 26 მარტის დადგენილება „პირუტყვის იძულებით განხაზოგადოების შესახებ“ უკრაინის რაიონულ ორგანიზაციებს დღემდე სათანადოდ არ განუხორციელებიათ, თუმცა ყველა მუშაკები უკლებლივ სიტყვით მხურვალედ მიესალმა ამ გადაწყვეტილებას. ცხადია, რომ ამ ამხანაგებმა, ბოლოს, უნდა შეიგნონ, რომ სწორი ხაზი გულისხმობს კარგ პრაქტიკულ მუშაობასაც.

„უკრაინის ბოლშევიკებმა ეხლავე ბოლშევიკურად უნდა გამოამჟღავნონ პრაქტიკული დეფექტები და შეცდომები და დაუყოვნებლივ შეუდგენ მათ გამოსწორებას“ (კაგანოვიჩი“).

არსებულ დეფექტების და დაშვებული შეცდომების ბოლშევიკურად აღიარება და საქმით გამოსწორება იმის საწინდარია, რომ უკრაინის კომპარტია (ბ) წარმატებით შეასრულებს თავის ამოცანებს, რომლებიც დასახა დახრულებულმა კონფერენციამ კოლმეურნეობათა ნამდვილი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, მოსავლის აღების და პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩატარება, ჭარხლის დიდი მოსავლის უზრუნველყოფა და მისი თავის დროზე გათოხნა, აღება და შაქრის ქარხნებში მიტანა, საბჭ. ვაჭ., კერძოდ საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარება წარმოადგენს მოსავლისათვის, დანაკარგებთან, მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის და შემოდგომის თესვის თავის დროზე მზადებისათვის ძლევამოსილი ბრძოლის წინაპირობას.

მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენი მუშაობა სოფლად, კერძოდ, უკრაინაში, არ იქნება გარდაქმნილი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესების ამოცანებთან შეფარდებით და ცალკე რაიონების და კოლმეურნეობების თავისებურებათა ნამდვილად გათვალისწინების ამოცანებთან შეფარდებით, პარტიის მიერ დასახული ამოცანები არ იქნება შესრულებული“ (მოლოტოვი).

უკრაინის ს.ს. რესპუბლიკამ მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად ლენინური პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ნაცადი ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში. ეხლანდელმა საგაზაფხულო თესვის კამპანიამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირი საბოლოოდ დამკვიდრდა სოციალისტურ გზაზე, რომ უკვე დამთავრდა სოციალიზმის გადამწყვეტი გამარჯვება, იშლება ახალი უდიდესი შესაძლებლობანი სასოფ.-სამ. წარმოების შემდგომი განვითარებისათვის.

უკრაინის ბოლშევიკებს აწევთ დიდი პასუხისმგებლობა. და იმის საუკეთესო მაგალითი, რომ უკრაინის პარტიულმა ორგანიზაციებმა ნამდვილად მიიღეს გაკვეთილი, იმის საუკეთესო საზომი, რომ ისინი ახორციელებენ პარტიის დირექტივებს, იქნება **მოსავლის აღების და პურის დამზადების კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარება.**

უკრაინის ბოლშევიკების წინაშე მდგომ ამოცანების შესრულება შეუძლებელია ისე, თუ ნამდვილად არ იქნა დარაზმული ფართო კოლმეურნე მასები და არ იქნა წარმოებული გადამწყვეტი ბრძოლა დემობილიზაციურ განწყობილებებთან, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებთან, მემარჯვენე გადახრასთან, როგორც მთავარ საფრთხესთან.

„პრავდა“, 15 ივლისი.

შაქრის ჭარხლის ამოთხრის და გადაზიდვის და წარმოებისათვის შაქრის ქარხნების მომზადების შესახებ

საკ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის 1932 წ. 15 ივლისის დადგენილება

მოსკოვი, 18 ივლისი. საკავშირო სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ჭარხლის რაიონების ყველა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს, „სოიუზსახარ“-ს, ტრაქტორცენტრს და კოლმეურნეობათა ცენტრს დაუყოვნებლივ შეუდგენ მოსამზადებელ მუშაობას ჭარხლის ამოსათხრელად და მის მისატანად შაქრის ქარხნებში და მიმღებ პუნქტებზე, და ამ კამპანიას ისეთივე ყურადღება მიაქციონ, როგორც პურის დამზადებას. ბურჟუაზიულმა ტენდენციებმა და ოპორტუნისტულმა პრაქტიკამ „სოიუზსახარ“-ის ძველი ხელმძღვანელობისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში, მრავალ ადგილობრივ საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების სუსტმა ყურადღებამ ჭარხლის ალებისა და დამზადების საკითხებისადმი, და აგრეთვე ამ უმნიშვნელოვანეს კამპანიისათვის დაგვიანებით მომზადებამ გასულ წელს, გამოიწვია ის, რომ ჭარხლის ნაწილი გამოუზიდავი დარჩა, ამოთხრა და გადაზიდვა ზამთრამდე გაჭიანურდა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ მნიშვნელოვნად შეუსრულებელი დარჩა შაქრის წარმოების პროგრამა. იმ მიზნით, რომ არ იქნას დაშვებული გასული წლის შეცდომები და უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და გლეხების ჭარხლის მთლიანად და თავის დროზე ამოთხრა და მისი მიტანა ქარხნებში, შაქრის წარმოების გეგმის უსათუოდ შესრულებისათვის, საკავშირო სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. ჭარხლის ამოთხრა და გადაზიდვა.

I. დამტკიცდეს ჭარხლის ამოღებისა და გადაზიდვის დამთავრების შემდეგი საბოლოო ვადები: დასავლეთ ციმბირისათვის — ამოთხრა პირველი ოქტომბერი, გადაზიდვა— 15 ოქტომბერი, დასავლეთის და მოსკოვის ოლქებისათვის — ამოთხრა 10 ოქტომბერი, გადაზიდვა პირველი ნოემბერი, დნეპრის მარცხენა მხარის, კიევის და ხარკოვის ტრესტებისა და ყველა რაიონებისათვის ამოთხრა — 15 ოქტომბერი, გადაზიდვა 10 ნოემბერი, ვორონეჟის ტრესტის, დნეპრის მარჯვენა მხარის, კიევის და ხარკოვის ველიანი ნაწილის და ვინიცის ტრესტის ყველა რაიონებისათვის — ამოთხრა 20 ოქტომბერი, გადაზიდვა — 15 ნოემბერი, ჩრდილოეთ კავკასიის, საქართველოს, ყაზახსტანის და ყირგიზეთისათვის ამოთხრა—30 ოქტომბერი, გადაზიდვა —20 ნოემბერი.

II. წინადადება მიეცეს „სოიუზსახარ“-ს, საბჭოთა მეურნეობებს, ტრაქტორცენტრს, და კოლმეურნეობათა ცენტრს — კოლმეურნეობებში ყოველ უბანზე არა უმეტეს 30 ჰექტარისა მოაწყონ ჭარხლის ამომთხრელთა და გადამზიდველთა ბრიგადები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბრიგადირთა შერჩევას და დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა ჭარხლის სწორად ამოთხრის, შეგროხა და მინდვრად მისი დაცვისათვის. ჭარხლის ამოთხრისათვის დახარჯული შრომის ანაზღაურებას, როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებში საფუძვლად დაედოს პროგრესიული სანარდო სისტემა იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობით არის ამოღებული ჭარხალი ერთ ჰექტარზე. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მინდორზე ამოთხრილი ჭარხლის აღრიცხვა და მუშათა შრომის ანაზღაურების სწორად მოგვარება, წინადადება მიეცეს „სოიუზსახარ“-ს, საბჭოთა მეურნეობებს, ტრაქტორცენტრს, კოლმეურნეობათა ცენტრს და კოლმეურნეობებს უზრუნველყონ მთელი ჭარხლის გაზომვა სპეციალური საზომებით.

III. წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახკომისარიატს ჩააბაროს „სოიუზსახარ“-ს 200 ჭარხლის კომბაინი და 4.000 ცალი შვეიცოვის სისტემის ჭარხლის შესაჭრელი დაზგა 1932 წლის პირველი ნოემბრისათვის და 2.000 დაზგა 15 ნოემბრისათვის. „სოიუზსახარ“-მა მთლიანად გამოიყენოს არსებული ჭარხლის ამოსაღები მანქანები და უმარტივესი ხელსაწყოები. ტრაქტორცენტრმა და კოლმეურნეობათა ცენტრმა თავის დროზე ჩაატარონ კოლმეურნეობებში ჭარხლის ამოთხრისათვის უმარტივეს იარაღების რემონტი. წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს 1932 წლის 15 აგვისტოსათვის შეასრულოს საბჭოთა კავშირის მიწსახკომის დაკვეთა 10.000 ცალი კოშჩუკის ნიჩბის დამზადებაზე.

IV. აიკრძალოს ჩაბარებულ ჭარხლისათვის უფულოდ ანგარიშის გასწორების პრაქტიკა, წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკს, „სოიუზსახარ“-ს და ტრაქტორცენტრს უზრუნველყონ კოლმეურნეობებისათვის ანგარიშის დაუყოვნებლივ გასწორება ჩაბარებულ ჭარხალზე. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა ცენტრს უზრუნველყოს კოლმეურნეობისათვის ფულადი ავანსების თავის დროზე მიცემა იმ სახსრებიდან, რომელთაც კოლმეურნეობათა გამგეობები ღებულობენ ჩაბარებულ შაქრის ჭარხლისათვის ჭარხლის თესვაზე, დამუშავებაზე, ამოთხრაზე და გადაზიდვაზე დახარჯულ შრომათა დღეების რაოდენობასთან შეფარდებით.

V. ჭარხლის თავის დროზე ამოთხრისა და მიმღებ პუნქტებიდან მისი შაქრის ქარხნებამდე მიტანისათვის საკონტრაქტაციო ჭარხლის ხაზით, პასუხისმგებლობა დაეკისროს მიწსახკომს, ტრაქტორცენტრს, კოლმეურნეობათა ცენტრს და მათი ადგილობრივ ორგანოებს, ხოლო ჭარხლის საბჭოთა მეურნეობების ხაზით — მომარაგების სახალხო კომისარიატს და „სოიუზსახარ“-ს. სახკომსაბჭო და ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ ჭარხლის თავის დროზე გამოზიდვა და პროგრამის მთლიანად შესრულება დაწესებულ ვადებში დამოკიდებული იქნება საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და ინდივიდუალურ მეურნეთა სასოფლო - სამეურნეო ტრანსპორტის სწორად მოწყობაზე, და რომ ჭარხლის გადაზიდვაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს [illegible] ტრანსპორტს, დაევალოს შაქრის ქარხნების დირექტორებს ჭარხლის საბჭოთა მეურნეობებთან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, დირექტორებთან და ჭარხლის კოლმეურნეობათა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად მიამაგრონ თვითეული საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა მიმღებ პუნქტებზე.

VI. ჭარხლის რაიონებში მესამე კვარტალში შეტანილი იქნას 3,260 ტრაქტორი, აქედან 2610 მიეცეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და 650 ჭარხლის საბჭოთა მეურნეობებს; 1200 საბარგო ავტომობილი, აქედან 180 მიეცეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და 400 ჭარხლის საბჭოთა მეურნეობებს. წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის მიწსახკომს უზრუნველყოს მესამე კვარტალში 50.000 ფორანისა და ცხენსაბმელის გაგზავნა ჭარხლის რაიონების კოლმეურნეობათა მოსამარაგებლად, რისთვისაც გაღებულ იქნას საჭირო კრედიტები მესამე კვარტალის დაკრედიტების გეგმის ანგარიშში.

არა უგვიანეს პირველი სექტემბრისა მოამზადონ ჭარხლის საბჭოთა მეურნეობების და ჭარხლის მთესველ კოლმეურნეობების მთელი ტრანსპორტი.

7. მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის მომარაგების სახკომის მიერ დასახული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ვიწროლიანდაგიან გადასატანი რკინის გზების მოწყობას ცხენის წევით ჭარხლის მინდვრებიდან შაქრის ქარხნებამდე 1000 კილომეტრის საერთო სიგრძით და მიეცეს მომარაგების სახკომს 15 ათასი ტონა სამადნო რელსი დეკოვილებისათვის, 5.000 ტონა ლითონი რელსების დასამაგრებლების დასამზადებლად და ვაგონეტების ასაგებად, ამასთან დაევალოს მძიმე მრეწველობის სახკომს დაამზადოს რელსები, მისი თანამაგრებლები და ვაგონების თვლები ა. წ. ივლის-აგვისტოში. მიეცეს მომარაგების სახკომს [illegible] ათასი კუბიკური მეტრი ხე-ტყის მასალა ვაგონეტების ასაგებად და შპალების დასამზადებლად. სრული პასუხისმგებლობა რელსების თავის დროზე დაგებისათვის დაეკისროს „სოიუზსახარ“-ს და საბჭოთა კავშირის მომარაგების სახკომს.

დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას თვალყური ადევნოს ამ მუშაობას და იმ შემთხვევაში, როცა „სოიუზსახარი“ ან სხვა უწყებები არ შეასრულებენ ამ დადგენილების მიხედვით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, დაუყოვნებლივ მოახსენოს სახკომსაბჭოს ცენტრალურ კომიტეტს.

წინადადება მიეცეს გზათა სახალხო კომისარიატს 1932 წლის 15 სექტემბრამდე [illegible] რკინის გზების სადგურებთან და შესაფერი ლიანდაგის [illegible] ქარხნები, რომლებიც მდებარეობენ რკინის გზის სადგურებიდან 10 კილომეტრამდე.

9. წინადადება მიეცეს „სოიუზსახარს“ დაამთავროს პირველ სექტემბრისათვის შაქრის ქარხნების და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი გზების, ჯებირების და ხიდების რემონტი. უკრაინის ს.ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭომ, ცენტრალურ შავნიადაგიანი ოლქს მოსკოვის და დასავლეთის ოლქის ალმასკომებმა და ჩრდილოეთ-კავკასიის სამხარეო ალმასკომმა დაუყოვნებლივ დაიწყონ გზატკეცილების და ყამირ-გზების, ჯებირების და ხიდების გასწორება ჭარხლის თესვის რაიონებში და დაამთავრონ იგი არა უგვიანეს პირველი სექტემბრისა.

10. დაევალოს ჭარხლის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და ჭარხლის მთესველ რაიონების რაიალმასკომებს და პარტიის რაიკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჭარხლის საბჭოთა მეურნეობების მთლიანად და თავის დროზე უზრუნველყოფას მუშა-ხელით. ჭარხლის ტრესტებმა ხუთი დღის ვადაში განიხილონ და დააზუსტონ რაიონების მიმაგრების საკითხი მუშების შეგროვების მხრით თვითეული ჭარხლის საბჭოთა მეურნეობისათვის იმ ანგარიშით, რომ კამპანია ხელშეკრულებების დასადებათ ჭარხლის საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა და ცალკე კოლმეურნეებს შორის დამთავრდეს არა უგვიანეს პირველ აგვისტოსა.

11. დაევალოს რაიალმასკომებს, რაიკოლმეურნკავშირებს და რაიკომებს უზრუნველყონ ყველა შეღავათების ფაქტიურად მიცემა იმ კოლმეურნეებისათვის, რომლებიც მუშაობენ საბჭოთა მეურნეობებში ჭარხლის მოთხრილობაზე და [illegible] ჩაატარონ 10 აგვისტომდე ჭარხლის საბჭოთა მეურნეობების ფართო საწარმოო კონფერენცია მუშა-ხელის მიმწოდებელ კოლმეურნეობებთან ერთად.

2. შაქრის ქარხნების მზადება წარმოებისათვის

1. არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს შაქრის ქარხნების კაპიტალური რემონტის მიმდინარეობა. წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახკომს მისცეს განკარგულება შესაფერ გაერთიანებებს არა უგვიანეს ა. წ 20 ივლისისა გაუგზავნონ „სოიუზსახარ“-ს სამშენებლო და სარემონტო მასალა მისთვის გამოყოფილი ფონდების მიხედვით. „სოიუზსახარ“-მა დაამთავროს შაქრის ქარხნების რემონტი არა უგვიანეს ა. წ. 15 აგვისტოსა.

2. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სათბობის კომიტეტს უზრუნველყოს შაქრის მრეწველობა სათბობით დაწესებულ გეგმებთან შეფარდებით. დაევალოს „სოიუზსახარ“-ს დასატვირთავ პუნქტებში არსებულ შტოებს გარდა უზრუნველყოს შტოებზე მიტანა თავისი მანქანებით დასატვირთავ პუნქტებთან. იმის გამო, რომ განსაკუთრებული სახეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ჭარხლის ალების მომავალ კამპანიას, რაც სწყვეტს ჩვენი ქვეყნის ჭარხლით უზრუნველყოფის ამოცანას, წინადადება მიეცეს უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს, უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალურ შავნიადაგიანი ოლქის, მოსკოვის და დასავლეთის ოლქების საოლქო ალმასკომებს და ოლქკომებს, ჩრდილოეთ კავკასიის და დასავლეთ ციმბირის სამხარეო ალმასკომებს და სამხარეო კომიტეტებს ყირგიზეთის სახკომსაბჭოს და საოლქო კომიტეტს უზრუნველყონ ყოველდღიური მეთვალყურეობა ჭარხლის მოთხრისა და შაქრის ქარხნებში მიტანისათვის, აგრეთვე იმისათვის, თუ როგორ ემზადებიან შაქრის ქარხნები შაქრის წარმოებისათვის; შეამოწმონ, რამდენად არის მომზადებული ადგილებზე „სოიუზსახარ“-ის და ტრაქტორცენტრის აპარატი მოსავლის ალების კამპანიისათვის; განამტკიცონ შაქრის ქარხნების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დამამზადებელი აპარატი და მობილიზაციის წესით ჩააბან ამ აპარატში დამზადების საქმის მცოდნე მუშაკები. გაშალონ მასიური მუშაობა კოლმეურნეებს და შაქრის ინდივიდუალურ მთესველებს შორის, რათა მთლიანად და თავის დროზე იქნას შესრულებული შაქრის ქარხნებისათვის ჭარხლის ჩაბარების გეგმა.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **ვ. მოლოტოვი** (სკრიაბინი).

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის მდივანი **ი. სტალინი.**

1932 წ. კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების შესახებ

საბჭოთა კავშირის მიწსახკომის კოლეგიის და საბჭოთა კავშირის და რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის კოლმეურნცენტრის 1932 წლის 11 ივლისის დადგენილება

მოსკოვი, 17 ივლისი. 1. კოლმეურნეობის შემოსავლის ნატურალური და ფულადი ნაწილის გაცემა უნდა სწარმოებდეს თვითეულ კოლმეურნის მიერ გამომუშავებულ შრომა-დღეების რაოდენობასთან ზუსტად შეფარდებით.

2. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლიდან კოლმეურნეებს შორის უნდა განაწილდეს შემოსავლის მთელი თანხა კოლმეურნეობის ფულადი დავალიანების დასაფარავად, სასოფლო - სამეურნეო გადასახადის და დასაზღვევი გადასახდელის გასასტუმრებლად და ანარიცხების გასაღებად განუყოფელ ფონდისათვის.

3. განუყოფელი ფონდები კოლმეურნეობებში იქმნება კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის 10-15 პროცენტის რაოდენობით ამ შემოსავლიდან კოლმეურნეობის იმ დავალიანების გამოკლებით, რომელიც გადახდილ უნდა იქნას 1932 წელს და სასოფლო - სამეურნეო გადასახადის თანხის, დაზღვევის გადასახდელის, სათესლე და საფურაჟე ფონდების გამოკლებით. კოლმეურნეობის მიერ 1932 წელს კაპიტალურ დაბანდებაზე გაწეული ხარჯები (მშენებლობა, პირუტყვის, ინვენტარის და სხ. შეძენა) ჩაირიცხება განუყოფელი ფონდების 10-15 პროცენტის ანგარიშში.

4. არ იქნას დაშვებული კოლმეურნეებისათვის შემოსავლის ფულადი ნაწილის მიცემის დაგვიანება შემოსავლის საბოლოო განაწილებამდე, შემოღებული იქნას ისეთი წესი, რომ კოლმეურნეობის მიერ ჩაბარებულ (გაყიდულ) პროდუქციისათვის მიღებულ ფულის ძირითადი ნაწილი კოლმეურნეებს მიეცეს ავანსის წესით მათ მიერ გამომუშავებულ შრომადღეების რაოდენობის მიხედვით.

5. საადრეო მარცვლეული კულტურების სახელმწიფო დამზადების დაწესებული გეგმის მიხედვით პროდუქციის ჩაბარების დამთავრების შემდეგ და სათესლე და საფურაჟე ფონდების გამოყოფის შემდეგ, სასურსათო და პირუტყვის საკვები მარცვლეულის მთელ დანარჩენ კუთვნილ ნაწილს კოლმეურნეობის გამგეობა ყოველგვარი დაგვიანების გარეშე ანაწილებს კოლმეურნეებს შორის — ამასთან მინდვრის სამუშაოებზე კოლმეურნეთა საართელო კვებისათვის სასურსათო ფონდის შექმნის საკითხს, აგრეთვე ამ ფონდის რაოდენობის და შექმნის წესის საკითხს სწყვეტს კოლმეურნეთა საერთო კრება.

6. გალეწვის დროს კოლმეურნეებს უნდა მიეცეს ავანსი შემოსავლის ნატურალური ნაწილის ანგარიშში ფაქტიურად გალეწილი პურის 10-15 პროცენტის რაოდენობით.

იმ კოლმეურნეობებში, სადაც თვით კოლმეურნეობა საჭიროდ დაინახავს, — ნატურალური ავანსების გაცემა სწარმოებდეს კოლმეურნეთა შემოსავლის ნატურალური ნაწილის ანგარიშში, კოლმეურნეთა შორის გასანაწილებელი პროდუქციის 10-20 პროცენტის რაოდენობით.

7. საუკეთესო კოლმეურნეებმა, რომლებმაც გამოიმუშავეს შრომადღეების მეტი რაოდენობა, უნდა მიიღონ შემოსავლის მეტი ნატურალური და ფულადი ნაწილი. ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს სასოფლო - სამეურნეო წარმოებაში მომუშავე კოლმეურნეებისათვის შემოსავლის ნატურალური ნაწილის მიცემის ფარგლების შეზღუდვა, რაც შემოღებული იყო პრაქტიკაში გასულ წელს.

8. ფურაჟის განაწილების დროს მხედველობაში იქნას მიღებული, თუ რამდენი პირუტყვი ყავთ კოლმეურნეებს, რათა იმ კოლმეურნეებმა, რომლებიც არ ღებულობენ ფურაჟს ან ღებულობენ ნაკლებს, სამაგიეროდ მიიღონ ნატურალური პროდუქციის სხვა სახე, ოღონდ ეს არ უნდა გასცილდეს ამა თუ იმ კოლმეურნეობაში შრომა დღეების მიხედვით დაწესებული ნატურალური გაცემის ფარგლებს“. (საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება).

9. კოლმეურნეობათა ადმინისტრატორ — მმართველთა შემადგენლობამ, მიუხედავათ მათზე დარიცხულ შრომადღეების რაოდენობისა, არ უნდა მიიღოს ნატურალური პროდუქციის იმ რაოდენობაზე მეტი, რასაც ღებულობს საშუალოდ ამ კოლმეურნეობაში მუდმივი ბრიგადის კოლმეურნე, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებდა წლის განმავლობაში მისთვის დაკისრებულ სამუშაოებს.

10 შემოსავლის როგორც ნატურალური, ისე ფულადი ნაწილის საბოლოოდ განაწილება კოლმეურნეებს შორის უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 33 წლის პირველი თებერვალისა. კოლმეურნეობათა მთელი ანგარიშწარმოება, შრომადღეების აღრიცხვა, აგრეთვე შემოსავლის განაწილება კალენდარული წლის განმავლობაში სწარმოებს პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე.

11. დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს და ბრიგადირებს მოსავლის ალების კამპანიის დროს გულდასმით აწარმოონ კოლმეურნეთა შორის აღრიცხვა და მათთვის შრომადღეების ჩაწერა შრომის წიგნაკებში.

12. საბჭოთა კავშირის მიწსახკომი და კოლმეურნცენტრი ავალებენ კოლმეურნეობათა გამგეობებს ივლისის განმავლობაში შეამოწმონ კოლმეურნეებისათვის მათ შრომის წიგნაკებში ჩაწერილი შრომა-დღეების აღრიცხვა შემოწმების დღემდე.

13. ბრიგადების მიერ მოსავლის ალებ ყველა სამუშაოთა დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობათა გამგეობებმა უნდა შეაფასონ თვითეული ბრიგადის მუშაობის ხარისხი, როგორც გაზაფხულის თესვის და მწკრივებს შორის დამუშავების მიხედვით, ისე მოსავლის ალების მიხედვით, და ბრიგადების მუშაობის შედეგების საფუძველზე (მიღწევები მოსავლის გადიდებაში, სუფთად მოთიბვა და გალეწვა, მიღწევები მოსავლის ალების ვადებში, პურის გამოტანაში და მარცვლეულის გაფუჭებისაგან გადარჩენაში), ბრიგადისა და ბრიგადირის შრომა დღის ან მშრომადღეების რაოდენობის ღირებულების შეფასება გაადიდონ ან შეამცირონ 10-დან 20 პროცენტის ფარგლებში.

საბჭოთა კავშირის მიწსახკომი და კოლმეურნცენტრი ყველა სამიწადმოქმედო და საკოლმეურნეო ორგანოებს ავალებენ, საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 5 ივლისის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ჩაატარონ კოლმეურნეთა მთელ მასაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა და ეცადონ, რომ ყველა ეს გადაწყვეტილებანი რაც შეიძლება მოკლე ხანში იქნას განხილული კოლმეურნეთა ფართო კრებებზე.

ამ მიზნით კოლმეურნეობათათვის დახმარების გასაწევად მოსავლის ალების კამპანიის ჩატარების, პურის დამზადების გეგმის შესრულების და შემოსავლის განაწილების დროს, სამიწათმოქმედო და საკოლმეურნეო ორგანოები ვალდებული არიან გაგზავნონ რაიონებსა და კოლმეურნეობებში ინსტრუქტორები, მთანგარიშეები და აგრონომები.

ს.ს.რ.კ.-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე — **მარკევიჩი.**

ს ს.რ.კ.-ის და რ.ს.ფ.ს.რ.-ის კოლმეურნცენტრის გამგეობის თავმჯდომარე **ტ[illegible]ი.**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ა. იაკოვლევი

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ

I

უკანასკნელ დროს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცეს მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას და საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლას. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საკითხის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებიდან მთავარია შემდეგი:

1. „მორიგი ღონისძიებანი კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების შესახებ“ (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილება).

2. „პირუტყვის იძულებითი განსაზოგადოების შესახებ“ (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 26 მარტის დადგენილება).

3. „კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების განმტკიცების შესახებ“ (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 10 მაისის დადგენილება).

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაც „ცხენის რაოდენობის შენარჩუნებისა და განვითარების შესახებ“ (1932 წლის 27 მაისი), აგრეთვე მთავრობის დადგენილება რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების შესახებ (1932 წლის 25 ივნისის თარიღით).

მთავარი გადაწყვეტილება საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების საკითხების შესახებ შემდეგია:

1. „1932 წლის მოსავლის პურის დამზადების გეგმისა და პურით საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ“ (საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 6 მაისის დადგენილება).

2. „პირუტყვის დამზადების გეგმისა და კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა მიერ ხორცით ვაჭრობის შესახებ“ (საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 10 მაისის დადგენილება).

3. „კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ გლეხთა ვაჭრობის წარმოების წესისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობაზე გადასახადის შემცირების შესახებ“ (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო სახკომსაბჭოს 20 მაისის დადგენილება).

ასეთივე ხასიათი აქვს მთავრობის დადგენილებას სახელმწიფო დამზადების ფარგლების შემცირებისა და ბოსტნეულით, რძით და კვერცხით ვაჭრობის გაშლის შესახებ.

პარტიის ყველა ეს გადაწყვეტილებანი დაკავშირებულია ერთმანეთთან და მიზნად ისახავენ ორ ძირითად ამოცანას:

პირველი ჯგუფის გადაწყვეტილებებს სახეში აქვთ, უპირველეს ყოვლისა, ხელი შეუწყონ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეს.

მეორე ჯგუფის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისაკენ, ამოცანად ისახავენ ქალაქების მომარაგების გაუმჯობესებას არა მარტო მხოლოდ დამზადების მეთოდის საფუძველზე, არამედ აგრეთვე 2 მეთოდის — სახელმწიფო დამზადების მეთოდის და საბჭოთა ვაჭრობის მეთოდის — შეთანხმების საფუძველზე.

ბოლოს ორივე ამ ამოცანას ისახავს აგრეთვე სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის 5 ივლისის გადაწყვეტილება მოსავლის აღების კამპანიის ჩატარების შესახებ.

II

ყველა, ვინც კი ყურადღებით წაიკითხავს ცენტრალური კომიტეტის ზემოთჩამოთვლილ გადაწყვეტილებებს კოლმეურნეობათა ორგანიზაციული-სამეურნეო განმტკიცების საკითხების შესახებ, მაშინვე დაინახავს, რომ ისინი აგებულია **იმავე საფუძველზე** და ანვითარებენ ცენტრალური კომიტეტის წინანდელ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ.

მართლაც, მათ მთავარ ამოცანას შეადგენს ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნოს ის, რომ „კოლმეურნეობათა ორგანიზაციული-სამეურნეო განმტკიცების ამოცანა ამჟამად წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა **კოლმეურნეობათა საარტელო ფორმის** განვითარების და განმტკიცების ამოცანას“ (ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილება).

მათ მთავარ ამოცანას შეადგენს ერთხელ კიდევ გააფრთხილონ პარტიული ორგანიზაციები, რომ „სახიფათოა გადახტომა სასოფლო-სამეურნეო არტელის ფორმაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გაშლილი და განმტკიცებული (ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილება).

იმავე ამოცანებს, თითქმის ისეთივე დებულებებით აყენებდნენ ცენტრალური კომიტეტის ყველა წინანდელი გადაწყვეტილებანი საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ.

მოვიგონოთ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები.

ორნახევარი წლის წინად—**1930 წლის 6 იანვარს** — ისტორიულ გადაწყვეტილებაში კოლექტივიზაციის ტემპების შესახებ, ცენტრალურმა კომიტეტმა სავსებით გარკვეულად მიუთითა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ ძირითად საკოლმეურნეო ფორმას ეხლანდელ ეტაპზე წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი

1930 წლის 2 მარტს ამხ. სტალინი, აკრიტიკებს რა პარტიულ ხაზის გადამახინჯებას საკოლმეურნეო მშენებლობაში, განსაკუთრებული სიცხადით და გარკვეულობით აყენებს თეზისს: „სასოფლო-სამეურნეო არტელი ეხლანდელ მომენტში წარმოადგენს ძირითად რგოლს საკოლმეურნეო მოძრაობის სისტემაში“ (სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 600).

1930 წლის 10 მარტის თავის დადგენილებაში ცენტრალური კომიტეტი გმობს „კოლმეურნეობათა საარტელო ფორმიდან კომუნაში გადახტომის ცდებს“, როგორც სრულიად დაუშვებელს და საქმისათვის საზიანოს.

1930 წლის ივლისში მე-16 პარტიული ყრილობა, რომელიც ჯამს უკეთებდა საკოლმეურნეო განვითარების შედეგებს, ყველა პარტიული ორგანიზაციებისათვის უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო დებულებათ აყენებს იმავე თეზისს. **„კოლმეურნეობის ძირითად ფორმას ეხლანდელ სტადიაში წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი“.**

1931 წლის 17 მარტს საბჭოების უმაღლესი ორგანოც — საბჭოების მე-6 ყრილობა, რომელიც აჯამებდა კოლმეურნეობათა მრავალი მილიონიან წევრის საკოლმეურნეო ცხოვრების პირველი წლის გამოცდილების შედეგებს, კვლავ აღნიშნავს: „საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმას განვითარების ეხლანდელ სტადიაში წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი“.

1931 წლის 2 აგვისტოს იმის გამო, რომ ზოგიერთ ადგილას შემჩნეული იყო ტენდენციები — კვლავ აჩქარებულიყვნენ კოლექტივიზაციის დამთავრების საქმეში, „წინ გასწროთ“ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ კოლექტივიზაციის ტემპებისათვის, — ცენტრალური კომიტეტი მთელს მუშაობას შემდგომში კოლექტივიზაციისა და კოლექტიური მეურნეობის შემდგომი ზრდისათვის საფუძვლად უდებს „კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას მათი განვითარების ეხლანდელ საარტელო სტადიაში“. თუ შევადარებთ ამ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეიცავენ კოლმეურნეობათა განვითარების თითქმის ორ წელიწადს, რომლის მანძილზე კოლმეურნეობანი გადაიქცნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად მწარმოებლად ჩვენს ქვეყანაში, — თუ ამ გადაწყვეტილებებს შევადარებთ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ გადაწყვეტილებებს 1932 წლის 4 თებერვლისა და 26 მარტის თარიღით, თვითეული ჩვენთაგანი დარწმუნდება იმაში რომ ყველა ის გადაწყვეტილებანი აღნიშნავენ ერთსა და იმავეს: სას.-სამეურნეო არტელი ძირითადი ფორმაა, საჭიროა მისი განმტკიცება, არტელიდან კომუნაში გადასვლის ხელოვნურად დაჩქარების ყოველგვარი ცდა კოლმეურნეობათა განვითარების ეხლანდელ სტადიაში დაუშვებელია, პარტია არ დაუშვებს არავითარ გადახტომას სასოფლო-სამეურნეო არტელის ამ ფორმაზე.

რატომ ყოველთვის ასეთი დაჟინებით უბრუნდება პარტია საკოლმეურნეო მოძრაობის ყოველ ეტაპზე, ყველა გადაწყვეტილებაში საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხების შესახებ ერთსა და იმავე საკითხს, რატომ კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **სასოფლო-სამეურნეო არტელი წარმოადგენს საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარ და ძირითად ფორმას.**

ამ კითხვას მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება გავცეთ. ასე იქცევა ცენტრ. კომიტეტი იმიტომ, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის ფორმა წამოაყენეს მშრომელი გლეხობის ფართო მასებმა, როგორც ისეთი ფორმა, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება მათ საარსებო ინტერესებს, აგრეთვე იმიტომ, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ამ ფორმისათვის მხარის დაჭერა განვითარების ეხლანდელ ეტაპზე გამომდინარეობს საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითად მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებიდან.

III

რაში მდგომარეობს სასოფ.-სამეურნეო არტელის ძალა?

რით განსხვავდება იგი საკოლმეურნეო მოძრაობის სხვა ფორმებისაგან?

რატომ მაინცდამაინც ეს ფორმა აირჩია გლეხმა, როგორც მთავარი ფორმა?

რატომ ეს ფორმა გავრცელდა ყველგან, ჩვენი ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე?

ამ საკითხებს პირდაპირ პასუხი გასცა ამხ. სტალინმა 1930 წლის მარტის წერილებში და ამის შემდეგ პარტიის მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

1930 წლის მარტში ამხ. სტალინი აშკარად აგვიწერს სასოფლო-სამეურნეო არტელის რაობას:

„**სასოფლო-სამეურნეო არტელში** განსაზოგადოებულია ძირითადი საწარმოო საშუალებანი უმთავრესად მარცვლეულის მეურნეობათა ხაზით: შრომა, მიწათსარგებლობა, მანქანები და სხვა ინვენტარი, მუშა-პირუტყვი, სამეურნეო ნაგებობანი. **იქ არ არის განსაზოგადოებული:** კარმიდამოს მიწები (პატარა ბოსტნები და ბაღები), საცხოვრებელი სახლები, მეწველი პირუტყვის ერთი ნაწილი, წვრილფეხა პირუტყვი, შინაური ფრინველი და სხვ“ (**სტალინი „ლენინიზმის საკითხები“**, გვ. 600).

ამის შემდეგ პარტიის მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებებში საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხის შესახებ განმარტებულია, თუ რატომ სახელდობრ სასოფლო-სამეურნეო არტელი **და არა კომუნა** გადაიქცა საკოლმეურნეო განვითარების ეხლანდელ სტადიაში საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარ ფორმად. პარტიის მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებებში ნათქვამია:

„იმის მოთხოვნა, რომ გლეხებმა არტელში შესვლის შემდეგ დაუყოვნებლივ აიღონ ხელი ყოველგვარ ინდივიდუალისტურ ჩვევებზე და ინტერესებზე, განსაზოგადოებულ მეურნეობასთან ერთად დამატებითი პირადი მეურნეობის შექმნის შესაძლებლობაზე (ძროხა, ცხვრები, ფრინველი, კარმიდამოს ბოსტანი), თავისი საჭიროებისათვის გარეშე შემოსავლის გამოყენების შესაძლებლობაზე და ხვა, — ამის მოთხოვნა ნიშნავს მარქსიზმ-ლენინიზმის ანბანის დავიწყებას“.

მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო არტელის ძალა, მისი განსაკუთრებული უპირატესობა საკოლმეურნეო განვითარების ეხლანდელ სტადიაზე მდგომარეობს იმაში, რომ „იგი უფრო შეეფერება გლეხობის ფართო მასების ინტერესებს“ (სტალინი „ლენინიზმის საკითხები“ გვ. 620), მდგომარეობს იმაში, რომ აქ მილიონების გამოცდილებით დადასტურებულია **კოლმეურნის და მთელი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი ინტერესის ის შეთანხმება კოლმეურნე გლეხის კერძო ინტერესთან, ურომლისოდაც გლეხი არ შევიდოდა კოლმეურნეობაში.**

გლეხი იმიტომ აძლევს სასოფლო-სამეურნეო არტელს მეტი უპირატესობას, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობას და მიწის საერთო დამუშავების ამხანაგობასაც კი, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელმა საშუალება მისცა მას ერთბაშად გამოიყენებინა მსხვილი გაერთიანებული მეურნეობის სარგებლობა მემინდვრეობის დარგში, საშუალება მისცა გამოეყენებია, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მეშვეობით, ტრაქტორები თავის მეურნეობაში. ამით სავსებით გაცამტვერდა მემარჯვენეთა კულაკური „თეორია“, რომლებიც უარყოფდნენ იმას, რომ კოლმეურნეობა წარმოადგენს სოციალიზმის გზაზე გლეხური მასების გადასვლის ძირითად საშუალებას და რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა სოფლის განვითარების სოციალისტური გზის გამარჯვება.

გლეხმა იმიტომ მისცა სასოფლო-სამეურნეო არტელს მეტი უპირატესობა, ვიდრე კომუნას, რომ მემინდვრეობის დარგში ძირითადი საწარმოო საშუალებების განსაზოგადოების დროს მას დარჩა სამეურნეო მანევრის ერთგვარი შესაძლებლობა მეორე ხარისხოვანი, პირადი დამატებითი მეურნეობის მოწყობის მხრივ.

სასოფლო-სამეურნეო არტელი ძლიერია ამ შეთანხმებით.

აი ამიტომაა, რომ ჩვენი პარტია, ერთი მხრით, ყოველგვარ ზომებს ღებულობს არტელის მეურნეობის განსაზოგადოებული ნაწილის განმტკიცებისათვის (აქ უმნიშვნელოვანესს როლს ასრულებს ტრაქტორი, რომელიც განსაზოგადოებულ მეურნეობას უქმნის თანამედროვე მაღალი ტეხნიკის ბაზას), ხოლო მეორე მხრით, ამავე დროს ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმას, რომ სადაც არ უნდა იყოს და ვინც არ უნდა იყოს, არ შეეცადოს ნაადრევად დაანგრიოს კოლმეურნის ის დამატებითი, პირადი მეურნეობა, რომელიც რჩება სასოფლო-სამეურნეო არტელში.

აი ამიტომაა, რომ ამ დარგშიაც, ისე როგორც ყველა სხვა დარგებში, „მემარცხენენი“ ყოველთვის გამოდიან არსებითად პირწავარდნილ მემარჯვენეთა მოკავშირეებად.

მართლაც, რომელიმე „მემარცხენე“, რომელიც ამა თუ იმ ადგილას ახდენს კოლმეურნის უკანასკნელი ძროხის განსაზოგადოებას, ფიქრობს, რომ იგი ამით აახლოებს კომუნას, ნამდვილად კი იგი, იმის მეოხებით, რომ სპობს კოლმეურნის იმ დამატებით, პირად მეურნეობას, რომელსაც კოლმეურნე ჯერ-ჯერობით დიდათ აფასებს და, ამ რიგად [illegible] შიშს კოლმეურნეობისადმი. ზიანს აყენებს იმ განსაზოგადოებულ მეურნეობას, რომელიც არტელში წარმოადგენს მთავარს, ე. ი. გამოდის ჩვეულებრივი პირწავარდნილი მემარჯვენე ოპორტუნისტის — კოლმეურნეობათა მტრის და კულაკის დამქაშის როლში.

კვლავ ვიმეორებთ: სასოფლო-სამეურნეო არტელის ძალა, მიზეზი, რომლის გამო ეხლანდელ ეტაპზე გლეხმა უპირატესობა მისცა კოლმეურნეობის ამ ფორმას ყველა სხვა ფორმებთან შედარებით, მდგომარეობს იმაში, რომ იგი მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობის ყველა უპირატესობას საუკეთესოდ და თვითეული გლეხისათვის უთუოდ გასაგებად ათანხმებს საკოლმეურნეო ცხოვრების ინდივიდუალურ პრაქტიკაში კოლმეურნის კერძო ცხოვრების ინტერესთან.

IV

სასოფლო-სამეურნეო არტელის ძირითადი თავისებურობა, რომელიც მას ხდის საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარ ფორმად ჩვენი ქვეყნის უდიდეს ნაწილში, არ არის რაღაც დროებითი მოვლენა, რაღაც მხოლოდ ერთი-ორი წლისათვის დამახასიათებელი მოვლენა.

პირიქით, ეს არის საკოლმეურნეო მოძრაობის ისეთი თავისებურობა, რომელსაც უეჭველად ხანგრძლივი ხასიათი აქვს. **სასოფლო-სამეურნეო არტელის სტადიის გასავლელად კოლმეურნეობებს უსათუოდ დასჭირდებათ მთელი რიგი წლები.**

გავიხსენოთ რას ლაპარაკობს ამის შესახებ პარტიის მე-16 ყრილობის გადაწყვეტილება: „კოლმეურნეობებში გლეხები წვრილი მესაკუთრის ფსიხოლოგიას, კერძო სამეურნეო დაგროვების წყურვილს, რომელიც მემკვიდრეობით მიიღეს მათ წვრილი კერძო მესაკუთრე თაობისაგან, აუცილებლად დაძლევენ მხოლოდ რამდენიმე წლის შეუპოვარი მუშაობით მსხვილი მექანიზებული მეურნეობის ბაზის შესაქმნელად კოლმეურნეობებისათვის, შეუპოვარი მუშაობით კადრების შესაქმნელად კოლმეურნეთა შორიდან და კოლმეურნეთა მთელი მასის კულტურული წინსვლით“.

მხოლოდ წყალწაღებულ ბიუროკრატს შეუძლია იფიქროს, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელი უკვე ამჟამად არის საკმაოდ განმტკიცებული, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტადია უკვე ყველგან განვლილია. კოლექტიურ მეურნეობის გაშლის მთელი გამოცდილება (კერძოდ გასული წლის მოსავლის წლის მოსავლის აღების და მიმდინარე წლის თესვის კამპანიის გამოცდილება) კვლავ გვიჩვენებს, თუ რამდენად მართალია საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, რომელიც აღნიშნავს, რომ **სასოფლო-სამეურნეო არტელი „ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გაშლილი და განმტკიცებული“** (საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება).

ცხადია, რომ გლეხს კოლმეურნეობაში შესვლისთანავე ერთბაშად არ შეუცვლია გლეხური სახე. ცხადია, რომ ინდივიდუალური საკუთრების ნაცვლად საზოგადოებრივი საკუთრების შექმნა სასოფლო-სამეურნეო არტელში ძირითად საწარმოო საშუალებებზე საუკეთესო პირობებს ქმნის წინანდელი გლეხის გარდასაქმნელად, მაგრამ ამ გარდაქმნის ვადა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მალე მოვახერხებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დამთავრებას, რამდენად მალე მოვახერხებთ ნამდვილი საკოლმეურნეო კადრების მომზადებას. ვაწარმოებთ რა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის პროცესში, იმ ნიადაგის ლიკვიდაციას, რომელიც წარმოშობდა კაპიტალიზმს, ჩვენ ამავე დროს არ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ცალკე მომენტებში და ცალკე რაიონებში კულაკური გავლენის შეჭრა კოლმეურნეობებში და მაშასადამე საშუალო გლეხების ერთი ნაწილის მერყეობაც მანამდე, სანამ არ დავამთავრებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციას და არ შევქმნით შესაფერ საკოლმეურნეო კადრებს.

მხოლოდ ბრმას შეუძლია არ დაინახოს ის, რომ ჯერ კიდევ საჭიროა რამდენიმე წლის მუშაობა სასოფლო-სამეურნეო არტელის განმტკიცებისათვის, კოლმეურნე გლეხების წვრილი მესაკუთრეობრივი ფსიხოლოგიის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, შრომის დისციპლინის ახალი საზოგადოებრივი ფორმების საბოლოო გამარჯვებისათვის. მაშასადამე ეს წლები პარტიისაგან წინანდებურად მოითხოვენ ბრძოლას ოპორტუნიზმთან და განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრასთან, როგორც მთავარ საფრთხესთან ეხლანდელ ეტაპზე.

ყოველივე ამის დავიწყება უყვართ ბევრ პრაქტიკოსს, რომლებიც მზად არიან საკოლმეურნეო მოძრაობის ყოველ ახალ ეტაპზე, საკოლმეურნეო მოძრაობის ყოველი ახალი [illegible] დროს კვლავ შეეცადონ გადახტნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის ეტაპს, „წინ გაუსწრონ“ პარტიას, ნამდვილად კი ისინი ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას — ოპორტუნისტულ ჭაობში არიან.

ლენინი ამ საკითხების შესახებ ამბობდა:

„წვრილი მიწათმოქმედის გარდაქმნის საქმე, მისი ფსიხოლოგიის და ჩვევების გარდაქმნა [illegible] საქმე მოითხოვს თაობებს. ამ საკითხის გადაჭრა წვრილი მიწათმოქმედის მიმართ მისი ფსიხოლოგიის, ასე ვთქვათ გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზას, ტეხნიკას ტრაქტორების და მანქანების გამოყენებას მიწათმოქმედებაში მასიური მაშტაბით. ელექტრიფიკაციას მასიური მაშტაბით“ (**ლენინი**, ტომი 26, გვ. 239).

ამხ. სტალინი ამ საკითხების შესახებ ამბობდა:

„ჯერ კიდევ დიდი მუშაობა იქნება საჭირო იმისათვის, რომ გარდავქმნათ კოლმეურნე გლეხი, გამოვასწოროთ მისი ინდივიდუალისტური ფსიხოლოგია და გავხადოთ იგი სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ მუშაკად. და ეს მით უფრო მალე მოხდება რაც უფრო მალე განხორციელდება კოლმეურნეობათა მანქანიზაცია, ტრაქტორიზაცია“ (სტალინი „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 633).

აქ ლაპარაკია არა მარტო სადღეისო ამოცანებზე, არამედ აგრეთვე იმ ამოცანებზე, რომლებიც მოითხოვენ მთელი პარტიის მუშაობას რამდენიმე წლის განმავლობაში.

რა თქმა უნდა, ეს გზა უფრო გრძელი და საძნელოა იმ გზასთან შედარებით, რომელსაც მიუხედავად ლენინისა და სტალინის მითითებებისა, მზად არიან აქა-იქ დაადგნენ ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკები (როგორც, მაგალითად, ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელიც გვარწმუნებდა, რომ არ ღირს კოლმეურნეებთან დიდი თავის ტეხა ძროხების შესახებ, ვინაიდან „საკმარისია ორი დღე და ღამე ვიმუშაოთ კოლმეურნეთა აქტივთან და კოლმეურნეები მიიღებენ ყველაფერს, რაც ჩვენ გვინდა“-ო, მაგრამ სამაგიეროდ ეს არის ერთად-ერთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო არტელის განმტკიცებას და შემდეგში **საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლეს სტადიებში გადასვლას სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მეშვეობით და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ბაზაზე.**

V

იმ საფუძველზე, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელი და არა კომუნა წარმოადგენს საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმას, იმ საფუძველზე, რომ ამ სასოფლო-სამეურნეო არტელში განსაზოგადოებულ მეურნეობასთან ერთად სავალდებულოა პირადი, ცალკე კოლმეურნეობათა მეურნეობის შენარჩუნება,—ზოგიერთი „თეორეტიკოსი“ მზად არის სადავოდ გახადოს სასოფლო-სამეურნეო არტელის სოციალისტური ბუნება ან კოლმეურნეობა განიხილოს არა როგორც მეურნეობის სოციალისტური ტიპი, არამედ როგორც ისეთი მეურნეობა, სადაც არის მხოლოდ ზოგიერთი სოციალისტური ელემენტი

ჯერ კიდევ 1929 წლის 27 დეკემბერს თავის სიტყვაში „საბჭოთა კავშირის აგრარული პოლიტიკურ საკითხებისათვის“ ამხ. სტალინმა, რომელიც ეკამათებოდა ზოგიერთ ეკონომისტს, პირდაპირი პასუხი გასცა ამ კითხვას და აღნიშნა, რომ „კოლმეურნეობა, როგორც მეურნეობის ტიპი არის სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი ფორმა“ („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 582).

მას შემდეგ გავიდა ორნახევარი წელი, რომლის განმავლობაში დამთავრდა კოლექტივიზაცია საბჭოთა კავშირის მარცვლეულისა და ტეხნიკური კულტურების უმნიშვნელოვანეს რაიონებში. ჩვენ გვაქვს საკოლმეურნეო მშენებლობის ნამდვილი ცოცხალი გამოცდილება, მშენებლობის, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს რამდენიმე ათეული მილიონი კაცი, და ეს გამოცდილება [illegible] ჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარი უთანასწორობა კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ რჩება, რამდენადაც რჩება კოლმეურნეთა დამატებითი კერძო მეურნეობა და კოლმეურნეებს აქვს დამატებითი შემოსავალი ბაზრიდან,—კოლმეურნეობა მტკიცდება, როგორც წარმოების სოციალისტური ფორმა, რომლის ბუნებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი საკუთრება ძირითად საწარმოო საშუალებებზე.

მხოლოდ აშკარა ტროცკისტებს შეუძლიათ სადავოდ გახადონ სასოფლო-სამეურნეო არტელის სოციალისტური ბუნება იმის გამო, რომ ამ სასოფლო-სამეურნეო არტელში მეურნეობის მთავარ საზოგადოებრივ საფუძველთან ერთად, არსებობს მეურნეობის ზოგიერთი დამატებითი ინდივიდუალური ელემენტი.

არტელის კლასობრივ ბუნებას, რა თქმა უნდა, განსაზღვრავს არა ის, რომ კოლმეურნემ შეინარჩუნა ან შეიძინა ძროხა და დასთესა ბოსტანი თავის კარმიდამოში, არამედ ის, რომ განსაზოგადოებულია მთავარი მეურნეობის საფუძველი—მემინდვრეობა და მასთან დაკავშირებული ძირითადი საწარმოო საშუალებანი — მანქანები და ცხენები. ამასთან **ამ განსაზოგადოებული საწარმოო საშუალებებით კოლმეურნე გლეხები მუშაობენ ჯერ ერთი სახელმწიფო მიწაზე და შემდეგ—სახელმწიფოს საწარმოო საშუალებების შემწეობით, რომელთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება ტრაქტორები და რთული მანქანები სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე).**

აი ამიტომ „თეორიული მსჯელობა“ ამ თემაზე, რომ რაკი პარტია არა თუ ხელს უშლის, არამედ ხელს უწყობს კოლმეურნეთა ზოგიერთი დამატებითი მეურნეობის განვითარებას, მაშასადამე სასოფლო-სამეურნეო არტელი არ არის მეურნეობის სოციალისტური ფორმა“-ო,—წარმოადგენს მხოლოდ ბატონ ტროცკის გესლიანი კონტრ-რევოლიუციონური ცილისწამების განმეორებას კოლმეურნეობათა შესახებ. ტროცკიმ თავის „ბიულეტენში“ 1930 წლის თებერვალში განაცხადა: „თუ კოლმეურნეობა ბევრად სასარგებლო იქნება დაქუცმაცებულ მეურნეობასთან შედარებით, მაშინ დიფერენციაცია კოლმეურნეობათა საშუალებით უფრო სწრაფად იწარმოებს, ვიდრე დღემდე სწარმოებდა“.

VI

რასაკვირველია, თვითეულს, ვინც ამ წერილის კითხულობს, უფლება ჰქონდა ეთქვა: „კარგი, მე ყველაფრის თანახმა ვარ, ყველაფერი ეს აბსოლუტურად უდავოა. მაგრამ რისთვის უნდა გავიმეოროთ კვლავ ის, რაც კარგად იცის თვითეულმა პარტიის წევრმა, რაც ჩაწერილია პარტიული მშენებლობის ყველა სახელმძღვანელოში, საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა სახელმძღვანელოში, რა საჭიროა კვლავ ჭეშმარიტებად იმას, რაც ანბანურ ჭეშმარიტებად გადაიქცა?“ ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება იყოს: პარტიას უხდება რამდენჯერმე დაუბრუნდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის საკითხს, სასოფლო-სამეურნეო არტელზე მოუფიქრებლად გადახტომის ცდების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროების საკითხს სწორედ იმიტომ, რომ პრაქტიკაში ადგილი აქვს საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი ლენინური საფუძვლების დამახინჯების მრავალ ფაქტს. ხოლო გლეხი აფასებს საბჭოთა ხელისუფლებას, კოლმეურნეობებს არა იმის მიხედვით თუ რა სწერია სახელმძღვანელოში და რეზოლიუციაში არამედ იმის მიხედვით, თუ რა ხდება სინამდვილეში და ისიც არა მთლიანად მთელ საბჭოთა კავშირში და მის რაიონშიც, არამედ მის სოფელში და მის კოლმეურნეობაში.

მოვიყვანოთ ორი მაგალითი, რომლებიც განგვიმარტავენ, თუ რატომ არის იძულებული ჩვენი პარტია კვლავ დაუბრუნდეს ყველა ამ დიდი ხნის წინად გადაწყვეტილ საკითხებს. პირველი მაგალითი ეხება მეცხოველეობის განვითარებას, მეორე მაგალითი კი კოლმეურნეობების ხელმძღვანელობის მეთოდებს.

დავიწყოთ პირველიდან. ბევრია ისეთი მუშაკი, რომელთა აზრით მუშებს შეუძლიათ განავითარონ მეკურდღლეობა და ეს საჭიროც არის და სასარგებლოც, ხოლო ამავე დროს რატომღაც ფიქრობენ, რომ კოლმეურნე გლეხისათვის არ ვარგა, რომ მან შეინარჩუნოს საკუთარი ძროხა ან გაიჩინოს ღორი ან იგივე კურდღელი. ადგილებზე დღემდე საკმაოდ მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელიც მზად არის შემოინახოს სასაცილო უბადრუკი თეორია, რაც მდგომარეობს იმაში, რომ კოლმეურნის ძროხა ან ღორი მოასწავებს კოლმეურნეობის დაღუპვას, ყოველ შემთხვევაში კოლმეურნეობის, როგორც სოციალისტურ ტიპის მეურნეობის დაღუპვას. მოიპოვებიან ისეთი ბედოვლათი ადმინისტრატორები, რომლებსაც ძროხა ხელს უშლის კოლმეურნეობების გაძღოლაში, რომელთა აზრით, „კოლმეურნეობების გაძღოლა უფრო ადვილია, თუ კოლმეურნეს არ ეყოლება ძროხა“.

ამ გაზაფხულზე მთელ რიგ რაიონებში აღმოჩნდნენ ასეთი საკმაოდ მრავალრიცხოვანი გადამხვევლები, რომლებიც მზად არიან სასოფლო-სამეურნეო არტელის განმტკიცების საქმე შესცვალონ გლეხის ძროხის განსაზოგადოების გამოთვენებით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაშინვე მიიღო მკაცრი ზომები ამ ცდების წინააღმდეგ, ამასთან ხელახლა განმარტა, „რომ **მხოლოდ კოლმეურნეობის მტრებს შეუძლიათ დაუშვან ცალკე კოლმეურნეების ძროხების და წვრილფეხა პირუტყვის იძულებითი განსაზოგადოება**“ და წინადადება მისცა პარტორგანიზაციებს გამოერიცხათ პარტიიდან ის პირები, რომლებიც დამნაშავე აღმოჩნდებოდნენ კოლმეურნის ძროხების და წვრილფეხა პირუტყვის იძულებით განსაზოგადოების ცდებში (საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 26 მარტის დადგენილება).

ამით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არა თუ მარტო სასტიკი ზომები მიიღო იმათ წინააღმდეგ ვინც კვლავ მოისურვებდა სასოფლო-სამეურნეო არტელზე „გადახტომას“, არამედ ამასთან გვიჩვენა, თუ რა გზით მოხდება შემდგომში მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრა, ვინაიდან ცხადია, რომ იმ სიძნელეების დაძლევა, რომლებიც ჩვენ გვაქვს მეცხოველეობის დარგში, შემდეგში მოხდება ორი გზით. ერთის მხრით გაიზრდება მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობების სასაქონლო ფერმები, კოლმეურნეობების 68 ათასმა სასაქონლო ფერმამ ამჟამად თავი მოუყარა 6 მილიონ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს და ორ მილიონ ღორს,—ამით შეიქმნა მშვენიერი ბაზა სასაქონლო საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი ზრდისათვის. რამდენიმე მილიონი სული პირუტყვი თავმოყრილია მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯერ კიდევ აქვთ დიდი ნაკლი და მათ მუშაობას ახასიათებს უყაირათობა, 1932 წელს თავიანთ პროდუქციას, 1931 წელთან შედარებით ადიდებენ 50 პროცენტით და უფრო მეტად (თუ არ ჩავთვლით იმ პროდუქციას, რომელსაც ისინი ჰყიდიან თავიანთ მაღაზიებში). ასეთია მეცხოველეობის პრობლემის სიძნელეების გადაჭრის ძირითადი გზა. მეორეს მხრივ **საბჭოთა მეურნეობებთან და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებთან ერთად, არამც თუ შენარჩუნებული იქნება, ცალკე კოლმეურნეების მეცხოველეობა, არამედ კიდეც გაიზრდება.** ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებაში პირდაპირ ნათქვამია: **„პარტიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თითეულ კოლმეურნეს ყავდეს თავისი ძროხა, წვრილფეხა პირუტყვი, ფრინველი.** ცენტრალური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება და შემდგომი გადაწყვეტილება ხორცით საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ ეუბნება კოლმეურნეს: მოაშენე პირუტყვი და გაყიდე იგი ბაზარზე იმ პირობით, რომ ამავე დროს პატიოსნად შეასრულოს ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე,—მუშურ-გლეხური სახელმწიფო არამც თუ არ არის ამის წინააღმდეგი, არამედ პირიქით, იგი მხარს უჭერს ამას. სახელმწიფო იმის მომხრეა, რომ კოლმეურნეს ყავდეს საკუთარი ძროხა, წვრილფეხა პირუტყვი და ფრინველი ვინაიდან ამას მოითხოვს მეცხოველეობის განვითარების ინტერესები, ვინაიდან ეს გამომდინარეობს თვით სასოფლო-სამეურნეო არტელის საფუძვლიდან, რომელშიაც შეთავსებულია განსაზოგადოებული მემინდვრეობა და სასაქონლო მეცხოველეობის ფერმა ისე, რომ თითეულმა კოლმეურნემ შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი პირუტყვი (ძროხა, წვრილფეხა პირუტყვი, ფრინველი).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თურქეთი შედის ერთა ლიგაში

მოსკოვი, 18 ივლისი „იზვესტია“-ს საკუთარი კორესპონდენტი ბერლინიდან ატყობინებს:

„გამოქვეყნდა თურქეთის პასუხი მიწვევაზე შევიდეს ერთა ლიგაში, პასუხი, რომელშიც ნათქვამია, რომ თურქეთი მზად არის შევიდეს ერთა ლიგაში, [illegible] თურქეთის მიერ სხვა სახელმწიფოებთან, მათ შორის ერთა ლიგის წევრებთან, დღემდე დადებულ ხელშეკრულებისა და აგრეთვე იმ ვალდებულებების შეთანხმებას რომლებსაც კისრულობს თურქეთი ერთა ლიგაში შესვლის დროს, მოაგონებს ლიგას იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრა თურქეთმა ლოზანის ხელშეკრულებით 1932 წლის ივლისში, და ბოლოს მოაგონებს ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის დროს მე-16 მუხლის დაწესებულ ინტერპრეტაციას ერთა ლიგის მონაწილე ქვეყნების წყლის და გეოგრაფიული მდგომარეობის მხედველობაში მიღების შესახებ. როგორც პარიზიდან იუწყებიან, თურქეთის მიმართაც დაწესებული იქნება სანქციების პარაგრაფის ასეთივე ინტერპრეტაცია. გაზეთები აგრეთვე იუწყებიან, რომ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ერთა ლიგის წევრები,—საბჭოთა კავშირს, ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს, ავღანისტანს და ბრაზილიას ოფიციალურად აცნობეს, რომ თურქეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ერთა ლიგაში შესვლის შესახებ“ (ადს).

ოტავის კონფერენციის წინ

ლონდონი, 18 ივლისი. ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნების კონფერენციის გახსნა დანიშნულია 21 ივლისისათვის კანადის დედაქალაქ ოტავაში. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნებიან შემდეგი ქვეყნები: დიდი ბრიტანეთი და ყველა მის დომინიონები (კანადა, ავსტრია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის კავშირი, ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო და ნიუფაუნდლენი); კოლონიებიდან — მხოლოდ ინდოეთი, როგორც დიდი ბრიტანეთის ყველაზე უფრო დიდი კოლონია, რომელსაც აქვს საკუთარი სახელმწიფო წყობილება, [illegible] წვრილ კოლონიალურ სამფლობელოებთან შედარებით. კონფერენციის სხდომები იწარმოებს დახურულ კარებში. ბრიტანეთის დელეგაციის მეთაური ოტავაში იქნება **ბოლდუინი**. ის, რომ კონფერენცია მოწვეულია კანადაში, წარმოადგენს დათმობას დიდი ბრიტანეთის მხრივ კანადის მთავრობის წინაშე, რომელიც ყველაზე უფრო ძლიერი და დიდი ბრიტანეთისაგან დამოუკიდებელი დომინიონია და რომელიც ამავე დროს იმყოფება ჩრდ. ამერიკის უშუალო გავლენის ქვეშ. სხვა ფინანსიურ საკითხებს შორის განხილულ იქნება აგრეთვე საკითხი იმ ვალების შესახებ, რომლებიც დომინიონებმა უნდა გადაუხადონ დიდ ბრიტანეთს (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და თბ. კომიტეტის ბიუროების 1932 წლის 16 ივლისის დადგენილება

„პრავდა“-ს 11 ივლისის ნომერში მოთავსებულ წერილის—„რისთვის დააპატიმრეს“—შესახებ

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის ბიუროები, რომლებმაც მოისმინეს „პრავდა“-ს 11 ივლისის ნომერში მოთავსებულ წერილის—„რისთვის დამაპატიმრეს“—საკითხის გამოსაკვლევად გამოყოფილ კომისიის მოხსენება ამხ. მაჩაიძის ახსნა-განმარტება, აღნიშნავენ, რომ:

ა) ამხ. მაჩაიძემ დაუშვა შეცდომა, როცა მან მისცა მილიციის უფროსს ამხ. ხმალაძეს დაუშვებელი განკარგულება ა. ფირცხალაიშვილზე ადმინისტრატიული სასჯელის დადების შესახებ; ბ) მილიციის სამმართველო ამხ. ს. ხმალაძის, მ. ტაბიძის და ვ. თოდრიას სახით ამხ. მაჩაიძისაგან განკარგულების, მიღების დროს იმის ნაცვლად, რომ გარკვეულიყო საქმის შინაარსში, ფორმალურად მოეკიდა მიღებულ განკარგულებას და ერთი თვით დააპატიმრა ა. ფირცხალაიშვილი, რითაც დაარღვია რევოლიუციონური კანონიერების პრინციპები.

ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი აღნიშნავს, რომ ადმინისტრატიული თვითნებობის ეს ფაქტები წარმოადგენენ იმის შედეგს, რომ ხსენებულ ამხანაგებს დაუჩლუნგდათ კლასობრივი ალღო და ისინი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენენ მშრომელთა მოთხოვნილებებისადმი.

ცენტრ. კომიტეტის და თბილისის კომიტეტის ბიუროები აღნიშნავენ, რომ თბილისის საბჭოს და მილიციის პარტიული ორგანიზაციები არ გამოეხმაურნენ ამ აღმაშფოთებელ ფაქტებს და ვერ აღმოჩნდნენ იმ ამოცანების სიმაღლეზე, რომლებიც დასახულია პარტიის მიერ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ყურადღების გაძლიერების საქმეში.

ამის გამო, ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ბიუროები ადგენენ:

1. აღნიშნოს, რომ ამხ. მაჩაიძის მოქმედება (მიუხედავად აკ. ფირცხალაიშვილის დაუშვებელი ყოფაქცევისა თბილისის საბჭოში) უფრო მკაცრი სასჯელის ღირსია, მაგრამ ვინაიდან მან გულწრფელად აღიარა დაშვებული შეცდომა, გამოეცხადოს ამხ. მაჩაიძეს სასტიკი საყვედური.

2. რევოლიუციონური კანონიერების დარღვევისათვის ა. ფირცხალაიშვილის საქმეზე მასალის გადაგზავნის შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოთხოვნის უყურადღებობის გამოჩენისათვის და უკანონო განკარგულების მლიქვნელურად შესრულებისათვის, მოიხსნას სამუშაოდან ადმინისტრატიული მეთვალყურეობის უფროსი ამხ. მ. ტაბიძე და რესპუბლიკანური მილიციის ინსპექტორის თანაშემწე— ვ. თოდრია.

გამოეცხადოს ამხ. ხმალაძეს სასტიკი საყვედური იმ უსულგულო ფორმალური დამოკიდებულებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ა. ფირცხალაიშვილის დაპატიმრების საკითხში.

4. დაევალოს თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას და ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომს შეამოწმონ თბილისის საბჭოს და მილიციის პარტორგანიზაციის მდგომარეობა.

მორიგი გამარჯვება სოცმშენებლობის ფრონტზე

კუზნეცკის ამხ. სტალინის სახ. მეტალურგიული ქარხნის პატაკი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—ამხ. სტალინს.
საკავშირო სახკომსაბჭო—ამხ. მოლოტოვს.
მძიმე მრეწველობის სახალხოკომისარიატი — ამხ. ორჯონიკიძეს.

სტალინსკი, 18 ივლისი. „დატვირთვა და ანთება სავსებით ნორმალურად ჩატარდა, ყველა მექანიზმები და აგრეგატები შეუფერხებლად მუშაობენ. 17 ივლისს [illegible] თუჯს მეორე ბრძმედიდან.

კომბინატის უფროსი — ფრანკფურტი.
საქალაქო კომიტეტის მდივანი ხითაროვი (ადს).

მთავრობის კომისია სურამის უღელტეხილის ელექტროფიცირებულ უბნის მისაღებად

მოსკოვი, 18 ივლისი. დანიშნულია მთავრობის კომისია სურამის უღელტეხილის ელექტროფიცირებულ უბნის მისაღებად. კომისიის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე — მ. მ. პოსნოვა და წევრები: ს. ი. კურბატოვი, ი. ი. ბურიკოვი, ვ. ა. იზიუროვი, ა. ნ. დეგტიარევი, მ.მ. იურევი და (გვარი დამახინჯებულია)

დაწესებულ ვადებში დავამთავროთ მოსავლის აღება

ფართოდ გავშალოთ პურის დამზადების კამპანია

მოსავლის აღება საქართველოში

სექტორებისა და რაიონების მიხედვით

საქ. მიწსახკომის ცნობებით, 15 ივლისისათვის შემოდგომის ნათესი ხორბლეული აღებული იყო სულ 36.551 ჰექტარზე, ანუ ნათესების 21,9%. ამავე რიცხვისათვის გაზაფხულზე ნათესი ხორბლეული აღებული იყო 3.094 ჰექტ. ნათესების 1,8 პრ. ამ რიგად აღებული იყო სულ 39.645 ჰექტარი, ანუ ნათესების 11,8 პროც. საბჭოთა მეურნეობებს მოსავალი აღებული ჰქონდათ 3.226 ჰექტ. კოლმეურნეობებს — 9.911 ჰექტარზე და ინდივიდ. მეურნეობებს 26508 ჰექტ.

რაიონების მიხედვით მოსავალი აღებულია:

	ჰექტ.	გეგმის პროც.
სტალინისის	2 „	—
კასპის	64 „	0,5 „
ბორჯომის	3 „	— „
გურჯაანის	5.015 „	34 „
სიღნაღის	13.849 „	82,2 „
თელავის	662 „	10,4 „
ყვარელის	3.840 „	103,8 „
ლაგოდ.	3329 „	100,1 „
თბილისის	3.801 „	23,6 „
ყარაიას	54 „	43,5 „
ბორჩალოს	2.056 „	44,6 „
ლიუქსემ.	84 „	1,5 „
ალბ.-მანგ.	3.096 „	24 „
გარე-კახ.	1671 „	12,7 „
მცხეთის	2.024 „	20,8 „
ერწო-თიანეთის	16 „	0,2 „
ხონის	79 „	56 „

ამრიგად თბილისის, ყარაიას, ბორჩალოს და ლიუქსემბურგის რაიონებში, რომლებმაც მოსავალი 25 — ივლისამდე უნდა აიღონ, — მოსავლის აღების ტემპები ძალზე დაბალია და თუ მუშაობა არ გაცხოველდა, — გეგმების შესრულება დასახულ ვადისათვის საეჭვო იქნება. **ყვარელმა მდგომარეობა საფუძვლიანად გამოასწორა და დასახულ ვადისათვის დაამთავრა მოსავლის აღება.**

საჭიროა მისი მაგალითს დანარჩენმა რაიონებმაც მიბაძონ

პრაქტიკული ნაბიჯები გადადგმულია

(თბ. გარეუბნის რაიონი)

თბილისის გარეუბნის რაიონულმა საბჭომ დროულად დაიწყო მზადება პურის დამზადების კამპანიის ჩატარებისათვის. ეს საკითხი ფართოდ დამუშავდა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც დამტკიცებული იქნა პურის დამზადების გეგმა 1.600 ცენტნერის რაოდენობით.

წინასწარ სასოფლო-საბჭოებში გამორკვეული იქნა ყველა შესაძლებლობანი, რომლებიც კი უზრუნველყოფენ პურის დამზადების დარგში მიცემულ დავალებათა პირნათლად შესრულებას.

პურის დამზადება იწარმოებს ექვს სასოფლო საბჭოში, ე. ი. იქ, სადაც ითესება ხორბლეული სოფლის საბჭოებზე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელთა ხელმძღვანელობით სწარმოებს გეგმების დაყვანა სოფლამდე და კოლმეურნეობებამდე. პურის დამზადების გეგმა 6 სასოფლო საბჭოზე განაწილებულია შემდეგ ნაირად: **მარტყოფის სას. საბჭოში** უნდა დამზადდეს — 2.500 ფუთი პური. ნორიოს სას. საბჭოში — 1.500 ფუთი, დიდილილოს — 1.000 ფ., თელეთის — 2.500 ფ., კუმისის — 2.000 ფუთი და ახალი სოფლის სას. საბჭოში — 300 ფუთი.

პურის დამზადება დაიწყება უახლოეს დღეებში.

15 ივლისისათვის ხორბლეული ნაცვლად 12.879 ჰექტარისა, აღებული იყო 3.817 ჰექტარზე, რაც გეგმის 29,6 პროცენტს შეადგენს. აქედან **საბჭოთა მეურნეობებს** აღებული ჰქონდათ 35 ჰექ. — გეგმის 9,5 პროც., **კოლმეურნეობებს** 762 ჰექ. გეგმის 37,1 პროც., **ინდივიდუალურ** მეურნეობებს — 3.020 ჰექტ. 29 პროცენტით., მტკიცე დავალებით კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს აღებული ჰქონდათ 172,5 ჰექტარზე.

ხორბლეულის აღებაში **წინ მიდიან თელეთის, კუმისის და დიღომის** სას. საბჭოები, სადაც გეგმების შესრულება აღწევს თითქმის 95 პროცენტამდე. სამარცხვინო ჩამორჩენ: **ავჭალის, გლდანის, ცხვარი ჭამიას, მარტყოფის, ახალი-სოფლის, ნორიოს, ლილოს, კოტორის და წყნეთის.**

იმავე რიცხვისათვის აღებული იყო თივა 4.124 ჰექტარზე, ანუ თივის აღების სარაიონო გეგმა შესრულებული იყო 67,6 პროც.

თბილისის საგარეუბნო რაიონულ ორგანიზაციებმა უფრო მეტად უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა ადგილებისადმი და უზრუნველყონ მოსავლის აღების დაწესებულ ვადებში დამთავრება.

გ. მ—ძე

გეგმების დაყვანას აგვიანებენ

(გურჯაანის რაიონი)

გურჯაანის რაიკომმა 8 ივლისს ბიუროს სხდომაზე დაამუშავა საკითხი პურის დამზადების შესახებ, ამ სხდომაზე მიღებული იქნა პრაქტიკული ღონისძიებები პურის დამზადების წარმატებით ჩასატარებლად. ადგილებზე უკვე გაიგზავნენ პასუხისმგებელი ამხანაგები პურის დამზადების ირგვლივ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გასაშლელად.

წელს გურჯაანის რაიონში უნდა დამზადდეს 17.000 ფუთი პური. **აღსანიშნავია, რომ გეგმები 15 ივლისისათვის არ იყო დაყვანილი ზოგიერთ სოფლის საბჭოებამდე** (ახალშენ, პოგლანოვკაში და ყანდაურა), დანარჩენ სოფლის საბჭოებში გაცხოველებით მიმდინარეობს მუშაობა პურის დამზადების კამპანიის გასაშლელად.

რაიონის ყველა ორგანიზაციებს დავალებული აქვთ დაუყოვნებლივ შეიმუშაონ კონკრეტული გეგმები მათი მონაწილეობის შესახებ პურის დამზადებაში.

მ. ზ—ია.

პურის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა უნდა გააცხოველონ მუშაობა

წელს საქართველოში უნდა დამზადდეს 8. 400 ტონა პურეული; დამზადების ამ რაოდენობიდან საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს ჩააბარებენ 400 ტონას. პურს ამზადებს საქ.-„ზაგოტზერნო“, რომელსაც რაიონებში გახსნილი აქვს პურის მიმღები პუნქტები. 8000 ტონა პურეულიდან, რომელიც უნდა დამზადდეს კოლექტიურ და ინდივიდუალურ სექტორში, ცეკავშირს დავალებული აქვს 2520 ტონა დამზადოს — გურჯაანის, თელავის, ტყვარჩელის, მცხეთის, თბილისის ახალციხის ალბულად მანგლისის რაიონებში და სამხრეთ-ოსეთში, ე. ი. იქ, სადაც საქ-„ზაგოტზერნო“-ს არაქვს გახსნილი პუნქტები და არც ყავს თავისი წარმომადგენლები.

საქ-„ზაგოტზერნო“-ს ცნობით პურის დამზადების **გეგმები 10 ივლისისათვის უკვე დაყვანილი იყო რაიონებამდე.** ამ ორგანიზაციამ რაიონებში გაგზავნა ინსპექტორები და პასუხისმგებელი მუშაკები, რომელნიც ადგილებზე, რაიონულ ორგანიზაციებთან ერთად, შეუდგნენ პურის დამზადების გეგმებსი განხილვას და სას. საბჭოებამდე დაყვანას საქ. „ზაგოტზერნო“-ს მუშაკებს დავალებული აქვთ პურის დამზადების ირგვლივ ადგილებზე ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა და პრაქტიკული ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ პურის მიმღებ პუნქტებს.

იმავე საქ.-„ზაგოტზერნო“-ს ცნობით, პურის დამზადება ჯერ კიდევ არ დაწყებულა. საწყობები უკვე მოყვანილია წესრიგში გარდა მისა წნორის-წყალზე შენდება (პურეულისათვის) ახალი საწყობი —2000 ტონას ტევადობით. ასეთივე საწყობები შენდება აგრეთვე **სამტრედიაში და ქუთაისში. პურის დამზადების რაიონები ტარით უზრუნველყოფილი არიან.**

დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დღემდე, როგორც ეს საქ.-„ზაგოტზერნოში“ განაცხადეს, **თვითეულ საბჭოთა მეურნეობამდე არ არის დაყვანილი პურის დამზადების გეგმები. საბჭოთა მეურნეობების ტრესტს,** როგორც ირკვევა, არც სურს ცალკე საბჭოთა მეურნეობებისათვის პურფურაჟის ბალანსის შედგენა ზედმეტი პურეულის რაოდენობის გამოსარკვევად. ამ გარემოებას სათანადო ორგანიზაციებმა ეხლავე უნდა მიაქციონ ყურადღება.

წელს წესიერი პურის ჩამბარებელი კოოპერაციიდან პირველ რიგში ღებულობს სამომხმარებლო ნორმების ფარგლებში სამრეწველო საქონელს. **პურის დამზადებასთან დაკავშირებით უკვე გამოყოფილი სამრეწველო საქონელი** — 320 ათასი მანეთის რაოდენობით, მაგრამ, **საქ-სახვაჭრობას, რომელსაც** დავალებული აქვს ეს საქმე, დღემდე არ გაუგზავნია რაიონებისათვის საქონელი. აქ სახვაჭრობის ასეთი „ტემპები“-თ **ჩვენ შორს ვერ წავალთ, საჭიროა ამ გარემოებასაც** მიექცეს სასწრაფო ყურადღება, რათა რაიონებს ეხლავე გადაეგზავნოს სამრეწველო საქონელი. პურის ჩაბარება ამ დღეებში დაიწყება, საქონელი კი კოოპერაციას ადგილებზე არ აქვს.

პურის დამზადებისათვის მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე ფართოდ უნდა გაიშალოს, გეგმები დროზე უნდა იქნას დაყვანილი სას. საბჭოებამდე და კოლმეურნეობამდე. მტკიცე დავალებები უნდა მიეცეს კულაკურ შეძლებულ მეურნეობებს.

საქ.-„ზაგოტზერნომ“, ცეკავშირმა რაიონულმა ორგანიზაციებმა ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაცხოველებით უნდა უზრუნველყონ პურის დამზადების — ამ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარება.

დ. ლი

ბოსტნეულის აღება დაიწყო

ბოსტნეულის მოსავლის აღება დაწყებულია თბილისის, მცხეთის, ქუთაისის და ხონის რაიონებში. ამ რაიონებში 15 ივლისისათვის ბოსტნეულის მოსავალი აღებული იყო სულ 1086 ჰექტარზე. აქედან კოლმეურნეობებს მოსავალი აღებული ჰქონდათ 286 ჰექტარზე, საბჭოთა მეურნეობებს — 166 ჰექტარზე და ინდივიდუალურ მეურნეობებში — 634 ჰექტარზე.

თბილისის რაიონში ბოსტნეული აღებული იყო 513 ჰექტარზე — 26,1 პროც. **მცხეთის რაიონში** — 159 ჰექტარზე — 17 პროც. **ქუთაისის რაიონში** 380 ჰექტ. — ნათესების 26,2 პროც. და **ხონის რაიონში** — 16 ჰექტარზე ნათესების 5,6 პროც.

მოსამზადებელი მუშაობა ფართოდ გაიშალა

სტალინისის რაიონში პურის დამზადებისათვის მოსამზადებელი მუშაობა 10 ივლისიდან დაიწყო, პურის დამზადების სახელმძღვანელოდ უკვე გამოიყო რაიონული შტაბი. წინადადება მიეცათ სასოფლო-საბჭოებს გამოყონ პურის დამზადების დამხმარე კომისიები.

რაიონულმა შტაბმა თავის პირველ სხდომაზე გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა მოსავლის აღების მიმდინარეობის გამოკვლევა და ჩამორჩენის გამოსასწორებლად პრაქტიკული ღონისძიებათა დასახვა.

რაიონში დაიწყო პურეულის საწყობების შეკეთება და ახალის მომზადება; მიღებულია ზომები საჭირო რაოდენობის ტარის მობილიზაციისათვის. ამ მიზნით რაიონში უკვე გამოცხადდა ერთთვიური.

ტ. ბ.

შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვას

შევხვდეთ ჯანსაღი მოძრავი შემადგენლობით

ა.-კ. რკ. გზას ჯერ კიდევ არ გაუშლია საკმარისად შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის მზადება

შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის მზადება დღეს რკინის გზების მუშაობის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

მაგრამ, როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან სჩანს, არც სამეურნეო, არც პროფესიონალურ და არც კოოპერატიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ გაუშლიათ გზაზე მუშაობა, ამ საპასუხისმგებლო მუშაობის მზადების გეგმების უზრუნველყოფისათვის. მდგომარეობა ა.-კ. რკ. გზებზე უაღრესად საგანგაშოა.

შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის გეგმა 1931—32 წელში გზის მიერ შესრულებული იყო მხოლოდ 87,6 პროც. გასულ წელთან შედარებით წელს შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის გეგმა გადიდებულია 20—25 პროც., ხოლო გზას კი თავის მუშაობა არაფრით არ გაუუმჯობესებია.

სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ორთქლმავლების და ვაგონების პარკი, ხშირია გაფუჭებული მგზავრობის ჩაშლის შემთხვევები და სხვ.

ასეთი მუშაობის შედეგია ეხლა ის, რომ პირველი ადგილიდან, რომელიც ა.-კ. რკ. გზას ეკავა წინეთ რკინის გზების საერთო ქსელში, ეხლა ის მოთავსებულია მე-14 ადგილზე.

პროფორგანიზაციის მუშაობა დაურდნობილია თვითმიმდინარეობაზე

პროფორგანიზაციების მასიურ-საწარმოო მუშაობა (სოცშეჯიბრი, საწ. თათბირების მუშაობა, გამომგონებლობა, რაციონალიზაცია), რაც უშუალო დამოკიდებულებაში წარმოებასთან, გზაზე არ არის გადახალისებული. მუშათა მომარაგების საკითხებიც ავიწყდებათ ა.-კ. რკ. გზ. პროფორგანიზაციებს. გამეფებულია აშკარა ოპორტუნისტული შეხედულება, რომ მუშათა მომარაგების საკითხებზე უნდა ზრუნავდეს მხოლოდ კოოპერაცია. შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის მზადებაში ა.-კ. რკინის გზის პროფორგანიზაციები „ორჩარევის„ გარკვეულ პოზიციას იცავენ.

სამაყო არაფერია

გზის მეურნეობის ნამდვილი სურათი ასეთია: მაისში გზაზე ავადმყოფ ორთქლმავლების პროცენტი 28,8-ს აღწევდა. აქედან ცხადია, რომ გზაზე ჯერ კიდევ არ არის დანერგილი გაწყვილებული მგზავრობა, არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები, რათა რეალიზებულ იქნას პარტიის მითითება საორთქლმავლო პარკის გაჯანსაღების შესახებ.

ორთქლმავლების გაფუჭების შემცირება 13,6 პროც. — აი, გადაუდებელი ამოცანა, რომლის შესრულება გზას მისცემს დამატებით 434 ორთქლმავალს.

გზის დირექციამ ადგილებს მისცა ორთქლმავლების გაჯანსაღებელი რემონტის პროგრამა, და ეს მუშაობა 15 აგვისტოსათვის უნდა იყოს დამთავრებული.

არა ნაკლებ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა სავაგონო პარკის განმტკიცებისათვის, საჭიროა სახარჯო პარკის ავადმყოფ ვაგონების პროცენტის 3.3 პროც. 2.1 პროცენტამდე შემცირება, გზათა კომისარიატის მიერ მიცემულ ნორმის — 2.9 პროც. ნაცვლად.

წრის ელექტროფიკაცია სურამის საუღელტეხილო უბანზე, ნავთლუღ-აქსტაფას და უჯარ-აჯიკაბულის უბნების ავტო-ბლოკირობა, სადგურების და რკინის გზის კვანძების განვითარება და გადაკეთება, ყოველივე ეს უნდა გადაიქცეს ძირითადად უბნებად, რომელთაც უნდა მიექცეს გზის ყველა პარტიულ, სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციების მთელი ყურადღება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამექანიზაციო, კავშირის და სარემონტო სამუშაოებს, რაც ჩატარებული უნდა იქნას ხაზებზე უმოკლეს დროში. უნდა გადაკეთდეს ჭიათურის ვიწრო ლიანდაგის 420 პლატფორმა, რათა შესაძლებელი გახდეს მარგანეცის მექანიკური გადატვირთვა.

აქამდე სახარჯო ვაგონს პატრონი არ ჰყავს და ამაშია სავაგონო პარკის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მიზეზი.

მშენებლობა ხორციელდება არა იმ ტემპებით, რომელიც აუცილებელია გზისთვის. სუსტად სწარმოებს ხიდების მშენებლობა (კერძოდ მდ. სუფსაზე) და მდინარის ნაპირების გამაგრება, განსაკუთრებით ბათომის რაიონში და სამხრეთ უბანზე. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა საუღელტეხილო უბანზე მეორე ხაზის რეკონსტრუქციისათვის.

ბოლომდე მოვსპოთ „გათანაბრება“ — დავამთავროთ ხელფასის რეფორმა

სატარიფო რეფორმის გატარების მომენტიდან ა.-კ. რკინის გზაზე უკვე 10 თვემ განვლო, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ეხლა მთელი სამუშაოების კონტიგენტიდან სანარდო სისტემით მოცემულია 85 პროცენტამდე სამუშაოები. 1932 წ. პირველ კვარტალში მიღწეულია მუშების წამყვან ჯგუფების და პროფესიების ხელფასის გადიდება, რაც 1931 წ. პირველ კვარტალთან შედარებით გამოიხატება ორთქლმავლის მემანქანეების ხელფასის ზრდაში — 20 პროც., ზეინკლებისა — 16,3 პროც., ხარატებისა — 26,5 პრ., მექვაბეებისა — 50,2 პროც. და მტვირთავებისა — 27,3 პროცენტით.

მაგრამ „მომემარცხენო“ გათანაბრებას მაინც დიდი ადგილი უკავია გზაზე.

ასე მაგალითად, სახელოსნოებში წამყვან პროფესიის მუშა-ზეინკალი — ღებულობს 167 მანეთს, ხოლო არა წამყვანი პროფესიის დურგალი — 175 მან. ძალიან დიდ ნაკლოვანებას აქვს ადგილი გამომუშავების შეუსრულების შემთხვევებში, ხშირია ხელფასის შემცირების შემთხვევები ბრიგადების მუშაობის ცუდი ორგანიზაციის გამო (განჯა, აჯიკაბული და სხვ.).

სატარიფო რეფორმის სწორი გატარება, მუშაობის ყველა რგოლებში პირდაპირი, განუსაზღვრელი სანარდო სისტემის შემდგომი დანერგვა, შემდგომი ბრძოლა „მომემარცხენო“ გათანაბრებასთან — აი უახლოესი გადაუდებელი ამოცანები, რომელთა გატარებაზე საგრძნობლად არის დამოკიდებული შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის წარმატებები.

რა არის საჭირო

საჭიროა, რომ, როგორც სამეურნეო, ისე პარტიულმა და პროფ. ორგანიზაციებმა გადაახალისონ თავისი მუშაობა.

საჭიროა სახარჯო მოძრაობაში ღერძთა რაოდენობის გადიდება 106-მდე, ორთქლმავლების გარბენის აყვანა — 193, ხოლო ვაგონებისა — 103 კილომეტრამდე დღეღამეში, ორთქლმავლების დღე-ღამის მუშაობის გადიდება დაწესებულ 11 საათამდე და ვაგონებისა — 10 ნახევარ საათამდე, საჭიროა ყოველმხრივ ბრძოლა მატარებლების მოძრაობისათვის ცხრილის მიხედვით და სხვ.

პროფორგანიზაციებმა, თავის მუშაობას პროფკავშირთა მე-9 ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე გადახალისებით, დაუყოვნებლივ უნდა გამოჰყონ სპეციალური პირები, რომლებმაც ოპერატიულობის წესით თვალ-ყური უნდა ადევნონ შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებების შესრულებას.

განსაკუთრებით სერიოზული ამოცანა სდგას ა.-კ. რკინის გზის კოოპერაციის წინაშე, იგი პროფორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, უნდა შეუდგეს რკინისგზელების წინაშე აღებულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებას.

შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის გაშლით, მასიურ - საწარმოო მუშაობის ფართო გაშლით, მუშების შრომისა და კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით, პროდუქციის ხარისხის ამაღლებით და, რაც მთავარია, ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების ცხოვრებაში გატარებით, ა.-კ. რკინის გზელები აუცილებლად უზრუნველყოფენ გზის წარმატებით მომზადებას შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის.

ა. ქ.

შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვას ჯანსაღი ორთქლმავლები

ორთქლმავლების შემკეთებელ ბრიგადების კონკურსი

რკინისგზელთა ცეკა, გზათა სახ. კომისარიატი და გაზეთები: „გუდოკი“, „ტრუდი“, და რადიოგაზეთი „პროლეტარი“ საბჭოთა კავშირის რკინის გზებზე 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე ატარებენ ორთქლმავლების შემკეთებელ ბრიგადების საკავშირო კონკურსს.

ეს კონკურსი უნდა ჩატარდეს ორთქლმავალთა პარკის სრული გაჯანსაღების, სპეცრემონტის ხარისხობრივად და რიცხვობრივად მთლიანად შესრულების და ორთქლმავლის სასარგებლო გამოყენებაში მიღწეულ შედეგების სავსებით შენარჩუნების და გადიდების ნიშნის ქვეშ.

კონკურსში მონაწილეობას ღებულობენ ორთქლმავლების შემკეთებელი საუკეთესო ბრიგადები. საწარმოო რგოლებიდან კონკურსში ერთმანეთს ეჯიბრებიან დეპოს სამქროები და ცალკე დეპოები.

მთელ კავშირში კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გამოწვეულია ორთქლმავლების შემკეთებელი 102 ბრიგადა და 51 დეპო. კერძოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზებიდან კონკურსში გამოწვეულია 1 დეპო და 2 სამეურნეო ანგარიშის ორთქლმავლის შემკეთებელი ბრიგადა.

საუკეთესო სარემონტო ბრიგადები, რომლებიც შეასრულებენ კონკურსის ყველა პირობებს, მიიღებენ შემდეგ ჯილდოებს: პირველი სამი ჯილდო თითო 4.000 მანეთიანი, მეორე ხუთი ჯილდო თითო 2.000 მანეთიანი და მესამე ათი ჯილდო — თითო 1500 მანეთიანი. გარდა ამისა, ისინი დამატებით, მიიღებენ 200 მანეთს და საბჭ. კავშირის რკ. გზების საუკეთესო სარემონტო ბრიგადის სახელწოდებას — საპატიო სიგელს.

საუკეთესო დეპოები მიიღებენ ქ. ჰამბურგის წითელფრონტელთა კავშირის დროშას და 100.000 მანეთს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის. მეორე ჯილდოა 75.000 მან. და მარმალილოს დაფა.

დაჯილდოვებულ დეპოს უფროსი მიიღებს სიგელს და პერსონალურ ჯილდოს 1.500 მანეთს. დეპოს ორთქლმავალთა ოსტატი — 1.000 მანეთს და სიგელს. ადმ.-ტეხნიკური პერსონალი — 20.000 მანეთს.

კონკურსის დროს პროფკავშირული მუშაობის საუკეთესოდ ჩატარებისათვის რკინისგზელთა ცეკა სდებს 10.000 მანეთს პროფმუშაკების და კლუბის მუშაკების დასაჯილდოვებლად.

საუკეთესო სატრანსპორტო რაიონულ გაზეთების, მრავალტირაჟიან გაზეთების და რადიოგაზეთებისათვის წესდება 4 ჯილდო: პირველი — 3.000 მან., მეორე — 2.000 მან., მესამე — 1.500 მან. და მეოთხე — 1.000 მანეთის რაოდენობით.

ამ კონკურსის საბრძოლო ამოცანაა — ორთქლმავლების სპეციალური რემონტის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება და ორთქლმავლების სამაგალითო მომზადება შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაო დრომ განვლო კონკურსის გამოცხადებიდან, ა.-კ. რკ. გზა მასში აქამდე არ ჩაბმულა, საგზაო კომიტეტს ამ მხრივ ჯერ მუშაობა არ დაუწყია, რაც მათ მუშაობაში უდიდეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს. საგზაო კომიტეტმა უნდა უზრუნველჰყოს ამ მუშაობის სასწრაფოდ დაწყება და მისი სათანადოდ გაშლა. კონკურსის გარშემო რკინისგზელთა ფართო მასების აქტიურად დარაზმვით.

ყოველი შემკეთებელი მუშა, ბრიგადა, ხელოსანი და დეპოს უფროსი, ფართოდ უნდა ჩაებას ამ კონკურსში და უჩვენოს სოციალისტური შრომის საუკეთესო ნიმუშები.

დროზე აღმოვფხვრათ დეფექტები

(სამტრედია)

პირველ საექსპლოატაციო რაიონში შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვისათვის მზადება დაიწყო. დასახულია მთელი რიგი სამუშაოები, რომელთა ჩასატარებლად ცალკე უბნებზე და ობიექტებზე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი მომუშავეები.

ამხ. ანდრეევის ბრძანება შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის შესახებ დამუშავებულია ყველა დისტანციებში, სამქროებში და ბრიგადებში. ტვირთზიდვის საკითხებს ძირეული პრესა ძალიან სუსტად აშუქებს, რაც უნდა მიეწეროს სარაიონო გაზეთ „დამკვრელი“-ს სუსტ ხელმძღვანელობას.

აღსანიშნავია რაიონში ზოგიერთი დეფექტები, რასაც დროზე უნდა მიექცეს ყურადღება:

სამტრედიის რკინის გზის დეპოს ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა. დეპოში ძალზე სუსტია სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, ადგილი აქვს ხელფასის „მომემარცხენო“ გათანაბრებას. იქ მართალია დროზე დაიწყო მზადება შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ დეპოს სამქროებმა ჯერ კიდევ არ იცის როგორი მაჩვენებლებით შესრულდა მეორე კვარტალის ტრანფინგეგმა. აღრიცხვის საქმეს მოუწესრიგებლობის შედეგად, სუსტია შრომის სოციალისტური ფორმების გამოყენება. სამქროებში მუშებმა არ იციან რა მაჩვენებლებით შესრულდა ესა თუ ის დეკადა ან თვე.

აღრიცხვის საქმის ასეთი მიფუჩეჩებას სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

დეფექტებია სადგურის მუშაობაშიც. მისი დაუდევრობით ამ დღეებში დალპა 11 ტონა ბალი, რომლის ღირებულება უდრის 7,000 მანეთს. ამაში ბრალი მიუძღვის საჯევახოს სადგურსაც, რომელმაც ეს ბალი მიიღო და უნდა ჩაებარებია მურაბის ქარხნისათვის; მან კი იგი სამტრედიაში გამოაგზავნა, სამტრედიის სადგურმა კი ვაგონი ჩიხში ჩააყენა და ყავდა „დატყვევებული“ სანამ ბალი არ დალპა.

ასეთი დაუდევრობები სამტრედიაში ხშირია და ამასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ხშირია მატარებლების გაჩერების შემთხვევები სადგურის სემაფორთან, რაც მეისრეთა შორის შრომის დისციპლინის შესუსტებას უნდა მიეწეროს.

სადგური ხელს უშლის მაცივარის ნორმალურ მუშაობას. ის მას ვერ აწვდის დროზე ვაგონებს.

საჭიროა სამტრედიის რკინის გზის კვანძზე კიდევ მეტად გაიშალოს მუშაობა ამხ. ანდრეევის ბრძანების მთლიანად შესრულებისათვის და შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.

ა. ბ—ლი

დავრაზმოთ მთელი ძალები

კოლმეურნეობებში პოლიტდღის ჩასატარებლად

„ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს შეიტანონ საკოლმეურნეო პოლიტდღის მოწყობა საქართველოს ყველა რაიონების სააგიტაციო მასიურ მუშაობის საერთო სისტემაში და უზრუნველყონ პოლიტდღის ჩატარება მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობით“

(საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ბიუროს 1931 წ. 16 ივლისის დადგენილებიდან).

გაძლიერებული ყურადღება პოლიტდღის ჩატარებას კოლმეურნეობებში

კოლმეურნეობების სამეურნეო, ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცება დიდათ არის დამოკიდებული იმისაგან, თუ რამდენად მომზადებული არიან თვით კოლმეურნეები პოლიტიკურად და კულტურულად, თუ რამდენად ერკვევიან ისინი საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის ძირითად საკითხებში და ყველა იმ ამოცანებში, რომლისაც კოლმეურნეობების წინაშე აყენებს პარტია და ხელისუფლება. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ღარიბ საშუალო გლეხთა ფართო მასებს შორის მასიურ-პოლიტიკური და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარებას. უნდა ითქვას, რომ ჩვენი მუშაობა ამ დარგში დღემდის მოისუსტებდა. ის ვერ ცილდებოდა ძველებურ მეთოდებს და წესებს. ახალი სამეურნეო ვითარება ახალი ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე.

პოლიტდღე, რომელიც ფართოდ იშლება ამჟამად კოლმეურნეობებში უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებას წარმოადგენს კოლმეურნე მასების პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში.

როგორც ამას აღნიშნავს ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა“-ს პოლიტდღე წარმოადგენს მასიური მუშაობის ახალ ცოცხალ ფორმას სოფლად.

საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებით საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ამჟამად ცენტრალური რედაქციების მიერ ტარდება პოლიტდღე. ეს გარემოება რაიონული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს სერიოზულ მეთაურობას. პოლიტდღის ჩატარების ირგვლივ ფართოდ უნდა დაირაზმოს რაიონული პარტიული აქტივი კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები და მთელი საკოლმეურნეო სისტემა.

უდაოა, რომ პოლიტდღის ჩატარება მემარჯვენე ოპორტუნისტებისა და ჩვენი აშკარა კლასიური მტრების (ტროცკისტები, მენშევიკები, კულაკები და სხვ.) მხრივ გამოიწვევს წინააღმდეგობას. ისინი აქაც შეეცდებიან ხელი შეგვიშალონ. კლასიური მტრის ასეთ გამოსვლებს საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ.

პოლიტდღის ჩატარებაში უნდა ჩაებან რაიონის ყველა კულტურული ძალები (მასწავლებლები, სპეციალისტები, უფროსი ჯგუფის მოწაფეები და სხვ.). ყოველმხრივად უნდა უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა კულტურულ-პოლიტიკური მომზადების მაღალ დონეზე დაყენება.

ა—ნ.

ბრიგადები სოფლად

გუშინ, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტმასგანყოფილებაში შესდგა საქართველოს და თბილისის ცენტრალური გაზეთების წარმომადგენლების გაფართოებული თათბირი.

თათბირმა მოისმინა ამხ. გრიგორიანის მოხსენება კოლმეურნეობებში პოლიტდღის ჩატარებისა და ამ საკითხის ირგვლივ გაზ. „ტიფლისკი რაბოჩი“-ს მიერ მიღებული გამოცდილების შესახებ.

თათბირიდან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1932 წლის 16 ივლისის დადგენილების საფუძველზე კოლმეურნეობებში პოლიტდღის ჩასატარებლად იგზავნებიან საქართველოსა და თბილისის ცენტრალურ გაზეთების ბრიგადები. შემდეგ რაიონებში: **ლანჩხუთის** რაიონში გაზ. „კომუნისტი“-დან (ალიბეგაშვილი, ნოცუბიძე), **თელავში** გაზ. „მუშა“-დან (კაჭკაჭიშვილი, აროშიძე), **მცხეთაში** გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“-დან (ქოქუა, ჯიბლაძე), **ახალქალაქში** გაზ. „პროლეტარი“-დან (ათაბეკოვი), **გორში** გაზ. „კოლექტივიზაცია“-დან (დუჩიძე, ჩიგოგიძე) და **ბორჩალოს** რაიონში გაზ. „ენიკენდი“-ს ბრიგადა.

პოლიტდღე ქუთაისის რაიონში

13 ივლისს გაზ. „ლენინის გზით“-ს ინიციატივით სოფ. პატრიკეთში, მაღლაკში და ფაბრიკა „მქერავში“ გაგზავნილი იქნა 3 ბრიგადა პოლიტდღის ჩასატარებლად.

სოფლად გაგზავნილი ბრიგადები კოლმეურნეობებში დარჩნენ 3 დღის განმავლობაში. ბრიგადებმა პოლიტდღის ჩასატარებლად ადგილებზე მოაწყვეს პოლიტკითხვების შესაგროვებელი ყუთები, გამოკრული იქნა ლოზუნგები და პლაკატები პოლიტდღის მნიშვნელობის შესახებ. ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით გამოიცა სპეციალური ნომერი კედლის გაზეთებისა, რომლებშიდაც ფართოდ შუქდებოდა პოლიტდღის მიმდინარეობა და კოლმეურნეობათა სადღეისო საკითხები.

14 ივლისს ჩატარდა პოლიტდღე. პოლიტდღეზე მაღლაკისა და პატრიკეთის კოლმეურნეებისაგან შემოტანილი იქნა 270-ზე მეტი მნიშვნელოვანი წინადადება.

პოლიტდღის ჩატარებასთან დაკავშირებით აღნიშნულ სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები 17 ივლისს ქუთაისში ჩამოვიდნენ წითელ ქარავნებით, რომლებმაც შემოიტანეს სხვადასხვა პროდუქტები.

ვ. ლ—ი.

◆

სესხის რეალიზაციის მეოთხე დეკადა

ქალაქის გამოცდილება გადავიტანოთ სოფლად

წარმატებით დავამთავროთ სესხის კამპანია

სესხის კამპანია წარმატებით დამთავრებისათვის

სესხის რეალიზაციის შედეგები 10 ივლისისათვის გვიჩვენებენ, რომ საქ. საფინანსო-საკრედიტო აპარატმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია დავალებათა 100 პროც. შესრულებას.

გეგმით გათვალისწინებულ 40.975.000 მან.-დან მუშა-მოსამსახურეებს 10 ივლისისათვის მოწერილი ჰქონდათ ხელი 38.809 ათას მანეთზე, შესრულებული იყო გეგმის 95 პროც. კოლმეურნეთა შორის გავრცელებული იყო 1776 ათასი მანეთის ობლიგაცია, რაც გეგმის 51,2 პროც. უდრის. ინდივიდუალურ გლეხებს შორის გავრცელებული იყო 237 ათასი მანეთის ობლიგაცია, შესრულებული იყო გეგმის მხოლოდ 3,3 პროც.

თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ საკონტროლო ციფრების შესრულებას ქალაქად მდგომარეობა თითქმის დამაკმაყოფილებელია, მართალია ზოგიერთი ქალაქიც (დაქირავებული შრომის სექტორი) ძალზე არის ჩამორჩენილი, მაგრამ გვაქვს რაიონები, რომლებმაც დაქირავებულ შრომის სექტორზე დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს და საკონტროლო ციფრები გადაჭარბებით შეასრულეს (ზესტაფონში შესრულებულია მუშა-მოსამსახურეთა სექტორის საკონტროლო ციფრის 113 პროც., ფოთში — 114 პროც., ონში — 128 პროც., ბოგდანოვკაში — 116 პროც. და სხვ.).

სამწუხაროთ ასევე ვერ ითქმის მუშა-მოსამსახურეთა მთელი 100 პროც. სესხში ჩაბმის შესახებ.

საქართველოში ირიცხება სულ 278 ათასი მუშა-მოსამსახურე (რკინისგზელების გამოკლებით). აქედან 10 ივლისისათვის სესხზე მოწერილი ჰქონდა ხელი მხოლოდ 227.436 კაცს და მათი ხელმოწერის ჯამი 30.914 ათას მანეთს უდრიდა.

ამრიგად 10 ივლისისათვის ხელი კიდევ არ ჰქონდა მოწერილი 50 ათას მუშა-მოსამსახურეს. აქედან აფხაზეთში ხელი კიდევ არ ჰქონდა მოწერილი 7.000 კაცს, აჭარისტანში — 6.000 კაცს, სამხრეთ-ოსეთში — 1000 კაცს, ქუთაისში — 3.000 კაცს, ოკრიბაში 500 კაცს, სამტრედიაში — 2000 კაცს, თბილისში — 6.000 კაცს და სხვ.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჯერ კიდევ ხელმოწერის გარეშე დარჩენილ მუშა-მოსამსახურეთა თვიური ხელფასი 100 მანეთიდან 800 მანეთამდე აღის, გამოვა რომ მათი ხელმოწერით უნდა შეგროვდეს დაახლოვებით 4,5 მილიონი მანეთი.

სესხის კამპანიის ძირითად მიზანს შეადგენს არა მარტო საკონტროლო ციფრების შესრულება, არამედ ამასთან ერთად მშრომელთა მთელი 100 პროც. ჩაბმა სესხში.

ამიტომ საფინანსო-საკრედიტო აპარატმა, დამხმარე კომისიებმა, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სისტემატიური და შეუნელებელი მუშაობა უნდა აწარმოონ მშრომელთა (მუშა-მოსამსახურეთა) მთელი 100 პროც. სესხში ჩაბმისათვის.

უნდა ვაღიაროთ, რომ სეზონური მუშები აქამდე ყურადღების გარეშე არიან დატოვებული, რაც ჩვენი აპარატის სისუსტეს წარმოადგენს.

საფინანსო-საკრედიტო აპარატის, ყველა ორგანიზაციების და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის გადაუდებელ საბრძოლო ამოცანას ამჟამად წარმოადგენს სესხის კამპანიის მაღალი ტემპების შენარჩუნება ქალაქად და სესხის გავრცელების გაძლიერება სოფლად კოლმეურნეთა და განსაკუთრებით ინდივიდუალურ მეურნეთა შორის. სოფლად კამპანიის გაძლიერების მიზნით მობილიზაცია უნდა გაუკეთდეს ძალებს ქალაქად და ეს ძალები გადასროლილი უნდა იქნან სოფლად.

ამასთან ერთად მიღებულ უნდა იქნას ყოველგვარი ზომა, რომ სესხზე ხელმოწერის გარეშე არ დარჩეს არც ერთი მუშა-მოსამსახურე, არც ერთი კოლმეურნე და მშრომელი გლეხი.

გარდა ამისა, კამპანიის წარმატებით დამთავრებისათვის საჭიროა დაკვრითი წესით მომზადდეს შემნახველი სალაროების აპარატი და დაწესებულება-წარმოებათა საანგარიშო ნაწილი, რომ მან დროზე დაამთავროს ხელმოწერის გაფორმება, და ხელმოწერილი თანხის პირველი შენატანი ყოველ მიზეზს გარეშე ივლისის პირველ ნახევარში აკრიფოს და წარადგინოს შემნახველ სალაროებში, ხოლო შემდეგი მორიგი შენატანები ვადაზე და უკლებლივ შეიტანოს სახელმწიფო სალაროში.

ნ. გ—ძე.

ებრაელი კოლმეურნეები სესხს აქტიურად გამოეხმაურნენ

(ვანი)

ვანის ებრაელი კოლმეურნეები აქტიურად შეხვდნენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სესხს. 9 ივლისს შესდგა ვანის ებრაელთა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც განხილულ იქნა სესხის საკითხი.

კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ არც ერთი კოლმეურნე არ დარჩება სესხზე ხელის მოწერის გარეშე.

კრებაზევე გაიშალა სოცშეჯიბრება და ინდივიდუალური გამოწვევები, რის შედეგადაც პირველ საღამოს ხელმოწერა შეგროვილი იქნა 600 მანეთის რაოდენობით. ხელის მოწერა წარმატებით გრძელდება.

სესხის რეალიზაციის უკეთ ჩატარების მიზნით ვანის ებრაელთა კოლმეურნეობამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ახალ-სენაკის ებრაელთა კოლმეურნეობა.

შ. ჩაქუჩიშვილი.

კოლმეურნეები მოწინავე რიგებში

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სესხის რეალიზაცია სოფ. კაგარეთის თემში (გარე-კახეთის რაიონი) დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რაც რაიონული პარტორგანიზაციების სწორ ხელმძღვანელობას უნდა მიეწეროს. მუშა-მოსამსახურეებს ხელი მოწერილი აქვთ 3750 მანეთზე, ანუ ერთი თვის ხელფასზე. კოლმეურნეობებს ხელი მოწერილი აქვთ 7. 520 მანეთზე, შესრულებულია გეგმის 100,2 პროცენტი. ინდივიდუალურ მეურნეობებში გავრცელებულია ნაღდ ანგარიშზე 1.000 მანეთის ობლიგაცია.

სესხის გავრცელებაში განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს ექიმმა ბოლქვაძემ და ამხ. ჯიქიძემ.

აქ—ნი.

რკინის-გზამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ხილ-ბოსტნეულის გადაზიდვას

თვითეული გაფუჭებული ხილ-ბოსტნეულის ვაგონს — დამნაშავის გვარი და სახელი

ხილ-ბოსტნეულის გაგზავნა მოუწესრიგებელია

(საქ. კორესპონდენტისაგან)

სამტრედიის რაიონში მიმდინარე წელს დაითესა 1.000 ჰექტარი ბოსტნეული.

ამჟამად რაიონში მიმდინარეობს ხილ - ბოსტნეულის მოსავლის აღება. ხილ - ბოსტნეული უმთავრესად იგზავნება სამრეწველო რაიონებში. ზოგიერთი დამამზადებელი ორგანიზაციები მოსავლის აღების და გაგზავნის საქმეში უპასუხისმგებლობას იჩენენ.

რკინის გზა სათანადოთ არ არის მომზადებული ბოსტნეულის გადასაზიდათ. სამტრედიის მაცივარიც ამჟამად ვერ იტევს ხილ - ბოსტნეულს. და ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის არავითარი ზომები არ არის მიღებული.

რაიონში ხილ - ბოსტნეულის დამამზადებელი ზოგიერთი ორგანიზაციები უთავბოლოთ მუშაობენ, რის გამო ირღვევა რკინის გზასთან დადებული ხელშეკრულებები. „საქხილბოსტანს“ ივნისის თვეში გეგმით უნდა მიეღო რკ. გზიდან 96 იზოტერმიული ვაგონი, ფაქტიურად მიიღო 34 ვაგონი. ამის გამო „საქხილბოსტანმა“ ჯარიმა გადაიხადა 12.976 მანეთი. „ზაკპოლიტოვოში“-საც ვერ მიაწოდეს საკმაო რაოდენობის იზოტერმიული ვაგონები.

აღსანიშნავია სამტრედიის მურაბის ქარხანაში შექმნილი არა ნორმალური მდგომარეობაც. აქ ხშირად ფუჭდება ხილბოსტნეული. ქარხანა დროზე ვერ იხსნის გამოგზავნილ ხილბოსტნეულს. 23 ივნისს გაფუჭდა რამდენიმე ტონა ხილი.

ამ მდგომარეობას მნიშვნელოვნად ხელს უწყობს სამტრედიის საქონლის სადგურიც. იქ არ არის საკმარისი მუშა - ხელი. მუშებს დღიურად აგროვებენ, არის შემთხვევა, როცა მუშა - ხელის უყოლობის გამო ხილბოსტნეულის გადაგზავნა გვიანდება.

საჭიროა ამ მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორება, რათა პროლეტარულ ცენტრებს დროზე მივაწოდოთ ხილ - ბოსტნეული.

ბრიგადირი.

სად. კოპიტნარში ბოსტნეულის გადაზიდვისათვის ვაგონებს არ აწვდიან

რკ. გზ. ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები უყურადღებოთ სტოვებენ ხილ - ბოსტნეულის დამამზადებელი ორგანიზაციების მოთხოვნილებას ხილბოსტნეულის გადაზიდვისათვის. ვაგონების მოუწოდებლობის გამო (სამტრედია, იანეთი და საჯევახო) ხილბოსტნეულის დამამზადებელ პუნქტებზე დაგროვილია უამრავი ხილბოსტნეული.

„საქ. ხილბოსტანმა“ დროზე აცნობა სამტრედიის რკ. გზას ხილბოსტნეულისათვის ვაგონების მიწოდების შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა სადგურის სამეურნეო ხელმძღვანელები ამ მდგომარეობას საჭირო ყურადღებას არ აქცევენ. სადგურ კოპიტნარში 4 ივლისს მოთხოვნილი ვაგონები ხილბოსტნეულის გადაზიდვისათვის 9 ივლისისათვისაც არ იყო გამოყოფილი. „საქხილბოსტნის“ მიერ 2 ივლისს მოთხოვნილი ვაგონი მიიღეს 6 ივლისს.

შ. კუჭუხიძე.

საქართველოს სსრ-ის 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-6 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის დადგენილება

მოისმინა და განიხილა რა საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატის მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-6 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია აღნიშნავს:

ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის წარმოებული გმირული ბრძოლა გათვალისწინებულ გეგმებზე ბევრად გადაჭარბებულ შედეგებს იძლევა სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობაში. ამ მშენებლობის საფუძველს შეადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მძიმე მრეწვ. სწრაფი განვითარება და სოფლის მეურნეობაში მომხდარი ძირითადი გარდატეხა, რომლის შედეგად ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებმა საბოლოოდ იბრუნეს პირი სოციალიზმისაკენ და წვრილ გლეხურ მეურნეობის ნაცვლად იქნება მსხვილი სოციალისტური საწარმოო სასოფლო მეურნეობა.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატება, კოლექტივიზაციის ძლევამოსილი მსვლელობა, კულაკობის, როგორც კლასის მოსპობა მთლიან კოლექტივიზაციის საფუძველზე, განსაზოგადოებულ მეურნეობის სწრაფი განვითარება კერძო მეურნეობის ხარჯზე თავის გამოხატულებას ჰპოებს სახალხო შემოსავლის გადიდებაში, რომელიც 1931 წელთან შედარებით, 1932 წელს იძლევა ზრდას 31 პროც.;

პირველი ხუთწლედის ვადამდე შესრულება და მეორე ხუთწლედით გათვალისწინებული კიდევ უფრო გრანდიოზული მშენებლობანი მოითხოვენ ქვეყნის ფინანსური ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებას.

დღევანდელ ეტაპზე, როდესაც საქართველოს სსრ-ში, მშენებლობა თანდათან უფრო გაძლიერებული ტემპებით იშლება, ამ მშენებლობის საფინანსო ბაზის განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქონლის ბრუნვას და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ შედგენილი სამრეწველო საფინანსო გეგმების რეალიზაციას.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პროგრამის თანდათან გადიდებული პოპულარობა მშრომელთა ფართო მასებში ქმნის უდიდეს შესაძლებლობას მოსახლეობის რესურსების მობილიზაციისათვის და მისი დროებით თავისუფალი სახსრების გამოყენებისათვის სოციალისტური მშენებლობის საქმეში მოსახლეობის მიერ სათანადო თანხების ნებაყოფილობითი გაღება, კერძოდ, სახელმწიფო სესხების ხაზით, დაგროვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

სესხის წარმატებით რეალიზაციასთან ერთად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ კამპანიას წარმოადგენს 1932 წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარება. საჭიროა მასიური ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ღარიბ-საშუალო გლეხთა ფართო თათბირებზე; ამით თავიდან აცილებულ უნდა იქნეს ის გადახრები, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი.

რადგანაც სესიას განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ-ის 1932 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სავსებით შეესაბამება საქართველოს სახალხო მეურნეობის 1932 წლის დამტკიცებულ საკონტროლო ციფრებს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალთა და გასავალთა ჯამი, რომელიც მიღებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემდეგი სახით:

შემოსავალი: 1. საგადასახადო შემოსავალი.

1) ბამბის გადასახ. ანარიც. 694,2 ათ. მან.
2) თამბაქოს 2.500,0 „
3) კინოს გადასახადი 3.000,0 „
4) სას. სამ. გადასახადი 7.492,0 „
5) კულტ. გადასახადი 16.759,0 „
აქედან: ქალაქად 10.130,0 „
სოფლად 6.629,0 „
6) განსაზ. სექტორის საშემოსავლო გადასახადი 1.000,7 „
სულ 31.535,9 „

II. არასაგადასახადო შემოსავალი:
1. საქ სმუსის მრეწვ. მოგების ანარიცხები 7.655,0 ათ. მან.
2. იგივე სას. სამ. საწარმოთაგან 33,3
3. იგივე მომარაგების სახკომის მრეწველობიდან 698,5 „
4. იგივე ვაჭრობიდან 3.167,3 „
5. საქ. ფინსახკომის სამეურნეო ორგანოები 156,0 „
6. სხვადასხვა შემოსავალი 476.0 „
7. ადმ. სამ. ხარჯ. შემცირდა 1.000,0 „
სულ 13.456,3 „

III. სახელმწიფო სესხების. ანარიცხი 12.793,4 ათ. მან
სულ შემოსავალი 577.785,6 ათ. მან.

გასავალი: I. სახალხო მეურნეობა:
1. ყოფ. სმუს-ის მრეწვ. 16.289,0 ათ. მან:
2. ელექტროფიკაცია 310,0 ათ. მან.
3. სოფლის მეურნეობა 10.449,5 ათ. მან.
4. ტრანსპორტი 2.346,3 ათ. მან.
სულ 29.304,8 ათ. მან.

II. სოც. კულტ. ღონისძიებანი:
1. განათლება 20.044,0 ათასი მან.
2. ჯანმრთელობა 8.868,0 ათასი მან.
3. სოც. კულტ. 1.167,1 ათასი მან. სულ 30.079,1 ათასი მან.

III. მმართველობა:
1. საერთო მმართველობა 776,1 ათ. მან.
2. სასამართლო და შრ. გასწრ. დაწეს. 924,1 ათასი მან.
3. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა 5.676,6 ათასი მან.
4. სოც. კულტ. ღონისძ. ადმ. 286,6 ათასი მან:
5. ფონდები 409,0 ათასი მან.
6. სოც. დამზღ. ანარიცხი 1 435,0 ათასი მან. სულ 68.981,6 ათასი მან.

ანარიცხი ადგილობრივი ბიუჯეტისათვის, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით ტარდება, დამტკიცებულ იქნეს 40.093,0 ათასი მან. რაოდენობით:

1. სას. სამ. გადასახადის შემოსავლის ხარჯზე 7.499,9 ათასი მან.
2. სახელმწიფო სესხების შემოსავლის ხარჯზე 8.672,2 ათასი მან.
3. კულტ. გამოსაღების შემოსავლის ხარჯზე (ქალაქი) 1.800,0 ათასი მან.
4. სოფლად 6.629,0 ათასი მან.
5. თამბაქოს ანარიცხებიდან 2.500,0 ათასი მან.
6. გადასახადი ბრუნვაზე 12.999,9 ათასი მან. შექმნილი დეფიციტი (ხარჯები — 109 074,6) ათასი მან., საკუთარი შემოსავალი — 57.785,6 ათასი მან. 51.289,0 ათასი მან. რაოდენობით დაფარულ იქნეს სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ბრუნვის გადასახადის ხარჯზე.

2. წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატებს, რომ სამეურნეო ანგარიშის განუხრელად ჩატარებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის საფუძველზე, სავსებით შეასრულონ დაგროვების პროგრამა, ამასთან უკლებლივ გაამართლონ თავიანთი ვალდებულება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტის წინაშე. (მოგების ანარიცხი, ბრუნვის გადასახადი და სხვ.).

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მომარაგების სახალხო კომისარიატს; ავტონომიურ რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის მთავრობებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, გააძლიერონ ხელმძღვანელობა სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის სასწრაფოდ გაშლისათვის და ამასთანავე მხედველობაში იქონიონ, რომ საბჭოთა ვაჭრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქალაქის პროლეტარიატისა და კოლმეურნე გლეხობის თანდათან გადიდებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ისე საფინანსო თვალსაზრისით; (საქართველოს სსრ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 48 პროც. შეადგენს სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ბრუნვის გადასახადი).

4. იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკები უფრო დაინტერესებული იყვნენ ბრუნვის გადასახადის შესრულებით, რომ განმტკიცდეს მათი საბიუჯეტო-საფინანსო დამოუკიდებლობა და თავიდან აცილებულ იქნეს ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის ბიუჯეტის დეფიციტიანობა სრ. საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია ავალებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, უახლოეს ხანში განსაზღვროს, ბრუნვის გადასახადის მოსალოდნელი შემოსავლის დაზუსტებული ცნობების საფუძველზე, საერთო საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი სამეურნეო ორგანოების ბრუნვის გადასახადის ანარიცხების მტკიცე რაოდენობა აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის სსრ-ის და სამხრ-ოსეთის ავტ. ოლქის ბიუჯეტებისათვის.

ამასთან ერთად წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, დაამუშაოს საკითხი ბრუნვის გადასახადის პროცენტული ანარიცხის დაწესების შესახებ საქართველოს დეფიციტიანი რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის.

5. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სოციალისტური მშენებლობის უდიდესი ამოცანების შეუფერხებელი დაფინანსება და კიდევ უფრო განმტკიცდეს სასტიკი ეკონომია სახელმწიფო სახსრების ხარჯვის საქმეში, დაწესებულ იქნეს მუდმივი კონტროლი, რომ ამ სახსრების ხარჯვა სავსებით შეესაბამებოდეს აღნიშნულ მიზნებს.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, მუშათა და გლეხთა ინსპექციას და მათ ადგილობრივ ორგანოებს, მოაწყონ ყოველმხრივი კონტროლი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით გაღებული სახსრის სისწორით გამოყენებისათვის. ამასთან განახორციელონ ეკონომიის მტკიცე რეჟიმი და სავსებით დაიცვან საფინანსო საბიუჯეტო და საკრედიტო დისციპლინა.

6. რადგან საკავშირო კოოპერაციის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ გამოცემული დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებით საგრძნობლად შემცირდება როგორც რესპუბლიკანური ისე ადგილობრივი ბიუჯეტით ნავარაუდევი შემოსავალი და ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით რაიაღმასკომებისა და საქალაქო საბჭოებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო დოტაცია 1932 წელს სრულიად არ უზრუნველყოფს ადგილობრივ ბიუჯეტით გათვალისწინებულ შემოსავლისა და გასავლის თანაბრობას, დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) უახლოეს ხანში განსაზღვროს 1932 წლის ადგილობრივი ბიუჯეტებით გასავლის ფაქტიური გადამეტება შემოსავალზე.

ბ) საქართველოს სსრ 1932 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი ნახევარი წლისათვის შესრულების შედეგების საფუძველზე გამოარკვიოს 1932 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პერსპექტივები და სახელმწიფო შემოსავალთა გეგმის არა სავსებით შესრულება, რის შედეგად აღძრას შუამდგომლობა ა.-კ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა გაძლიერებულ იქნეს ბრუნვის გადასახადის ანარიცხის რაოდენობა სათანადო თანხით საქართველოს სსრ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებისათვის.

7. რადგანაც საგადასახადო რეფორმის გამო ქ. ბათომს, ფოთს, და ჭიათურას აღარ აქვთ სატონო გამოსაღები და, რადგანაც ამ ქალაქების საკუთარი შემოსავალი და ბრუნვის გადასახადის დაწესებული ანარიცხი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ქალაქების თანდათან გადიდებულ სოციალურ - კულტურულ და სამეურნეო მოთხოვნილებებს, დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, იმის შესახებ, რომ აღდგენილ იქნეს გაუქმებული სატონო გამოსაღები ქალაქ ბათომის, ფოთის და ჭიათურის ბიუჯეტების სასარგებლოდ რკინის გზით და წყალსავალი გზით შემოზიდულ და გაზიდულ ტვირთზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1932 წ. ივნისის 17.
თბილისი.

პარასკევს, ა. წ. 22 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე, გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქცია იწვევს „კომუნისტი"-ს

დამკვრელ მუშკორთა საქალაქო შეკრებას

სოცშეთავსებით მომუშავე საზოგადოებრივ პროკურორებთან და პროკურატურის დამხმარე უჯრედის წევრებთან ერთად.

შეკრებაზე მოწვეული არიან აგრეთვე რესპუბლიკის და თბილისის პროკურორები და სახ. გამომძიებლები. კრება შესდგება „კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი, № 16).

„კომუნისტი"-ს დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების სექტორი.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ესკადრილიისათვის

საქართველოს მცენარეთა დაცვის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს შემოაქვთ ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად ერთი დღის ხელფასი 45 მან. 84 კაპ. დავალებით **ნ. ანელი.**

ამხ. ლადო სუხიშვილისა და გ. დოლიძის გამოწვევით შემომაქვს ესკადრილიის ფონდში 25 მან.

პროფ. შ. მიქელაძე.

—:—

წითელ ქალაქის სარეწაო სახარაზო არტელი „წითელი გზა"-ს მუშა-მოსამსახურეებს შემოგვაქვს ერთი დღის ხელფასი „ქამო"-ს სახელობის თვითმფრინავის ასაგებად და ვიწვევთ წითელ-ქალაქის სარეწაო არტელებს: „1 მაისს", „მეგობრობას" არტ. „ძმობას", და თემქის ხევის სარეწაო არტელ „წითელ დროშას".

არტელის თავმჯდომარე.

—:—

შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ ჩოხატაურიდან კლარა ცინცაძეს, ვ. ბუბუტეიშვილს, ეკინა ბერძენიშვილს, ს. დოლიძეს, მარუსია მეგრელიშვილს, გ. თავაძეს.

სერგო უდრელიძე.

საქ. პურტრესტის ცენტრის მუშა-მოსამსახურეების სახელით შემომაქვს 260 მანეთი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად.

კომუჯრედის მდივანი ი. მესხი.

მუხრანში პრაქტიკაზე მყოფ სას.-სამ. ინსტიტუტის მემინდვ. ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებს შემოგვაქვს ა-კ. წით. დროშოვან არმიის ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად ერთ ნახევარი დღის ხელფასი ორას ორმოცი მანეთი (240) რაოდენობით და ვიწვევთ სას.-სამ. ინსტ. დანარჩენ ფაკულტეტების პირველი კურსის სტუდენტებს.

პრაქტიკანტ სტუდ. დავალებით:
შ. კალაძე.

—:—

მექანიზაციაქმნილ აჯურის ქარხნის მუშების სახელით ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 261 მან. და ვიწვევ კარხნარის თემის სასოფლო - სამეურნეო არტელს.

ეზეკია მაჩიტიშვილი.

—:—

საქმიწსახკომის და საქსოფლმშენის გაერთიანებულ ადგილკომს შემოგვაქვს დამატებით კავკასიის წითელდროშოვან არმიის ფონდის გასაძლიერებლად ოთხას ოცდაშვიდი (427) მან. და 30 კაპ.

საქმიწსახკომის გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარე: **რუხაძე.**

—:—

საქ. საალმშენებლო ინსტიტუტის საკონსტრუქტორო სპეც. კომუჯრედს შემოაქვს დამატებით ესკადრილიის ფონდში ორმოცდა თვრამეტი (58) მანეთი და იწვევს ყველა ინსტიტუტებს დამატებითი თანხების შეგროვებაში.

ბიუროს დავალებით **ს. არსენიძე.**

—:—

თბ. ქიმიურ - ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებს ესკადრილიის ფონდში შემოაქვს ხუთას თერთმეტი მანეთი (511) მან.

„აქთევზი"-ს მორიგი გამარჯვება

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს თევზის მეურნეობა თვალსაჩინოდ გაიზარდა. მიმდინარე წელს თევზის ჭერის წლიური გეგმა შესრულებულია 140 პროც.

საქართველოს თევზის მეურნეობის ახეთი მიღწევების გამო, „საქთევზმა" მოსკოვიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „სათევზე მრეწველობის და მეურნეობის მთავარი სამმართველოს ბრძანებით „საქთევზი"-ს ხელმძღვანელებს ყველა მუშა-მებადურებს, თევზის ჭერის ნახევარი წლის გეგმის 105 პროც. შესრულების გამო გამოეცხადოს მადლობა. ცალკეული ორგანიზაციების მიერ დაწესებული საპრემიო ფონდების გარდა, გაცემულ იქნას 5.000 მან. თევზის ჭერის საქმეში აქტიურ მონაწილე მუშა-მებადურების და ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალის დასაჯილდოებლად".

ამასთან დაკავშირებით თევზის მრეწველობის და მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანებით საქართველო შეტანილია მეთევზეობის დიდი რაიონების რიცხვში.

კაპიტალური დაბანდება „საქთევზო"-ს ხაზით 1932 წელს (სატბორე მეურნეობის გამოკლებით) აღწევს 1 მილიონ მან. აქედან თევზის მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ გადადებულია 690,000 მან., ხოლო რესპუბლიკანური ბიუჯეტით 310,000 მან. აღნიშნულ თანხებიდან სამრეწველო მშენებლობისათვის დაბანდებული იქნება 367 000 მან. თევზის ჭერისათვის საჭირო ნავების მშენებლობისათვის 370.000 მან. საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის 140.000 მან. და სხვ.

მეხამე კვარტალში „საქთევზო"-სათვის გამოყოფილი იქნება 2,250 კუბომეტრი ხე-ტყე, 18 ტონა ლურსმანი, 24 ტონა სხვადასხვა ხარისხის რკინა, ცემენტი, მავთული და სხვა მასალა.

თევზის მეურნეობის მცოდნე კადრების მომზადების მიზნით მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში წელს „საქთევზს" მიეცა 3 ადგილი, ხოლო ასტრახანის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში 2 ადგილი.

შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავებას 5 ივლისს დავამთავრებთ

სტალინისი, 16 ივლისი. აგარის შაქრის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობაში შაქრის ჭარხლის ნათესების მეორედ გათოხნაში ადგილი აქვს დიდ გარღვევებს. 15 ივლისისათვის გათოხნილია 555 ჰექტარი, გეგმის 76 პროცენტი. პარტიის რაიკომმა და საბჭოთა მეურნეობის დირექციამ 16 ივლისიდან 25 ივლისამდე გამოაცხადეს გარღვევათა ლიკვიდაციის დამკვრელი ათდღეური.

16 ივლისს შესდგა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, სოფლის საბჭოების თავმჯდომარეების, უჯრედის მდივნების და მთელი რაიონის აქტივის სარაიონო შეკრება შაქრის ჭარხლის დამუშავების საკითხის განსახილველად.

კოლმეურნეობათა წარმომადგენლებმა შეკრებას სიტყვა მისცეს, რომ დაკვრითი წესით დაამთავრებენ თავის ნათესების დამუშავებას და გადავლენ სამუშაოდ საბჭოთა მეურნეობაში.

კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეობათა შაქრის ჭარხლის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მახლობელ რაიონებში და სოფლებში ვაგზავნით ამხანაგებს მუშების შესაკრებად.

სიტყვას ვაძლევთ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავებას დავამთავრებთ 25 ივლისისათვის.

პარტრაიკომის მდივანი **კალანდაძე.**
რაიღმასკომის თავმჯდომარე **ცხოვრებაშვილი.**
საბჭოთა მეურნეობის დირექცია **ბახია.**



საკურორტო მშენებლობა ბორჯომში
სურათზე: საკურორტო სამმართველოს ახალი სასტუმრო

კომისიის გამოყოფა

რუსთაველის პროსპექტზე მომხდარ შემთხვევის გამოსარკვევად

გუშინ, 19 ივლისს რუსთაველის პროსპექტზე მომხდარ უბედურ შემთხვევის გამოსარკვევად, რომლის დროსაც ტრამვაის ქვეშ მოჰყვა მუშა, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოყო კომისია ამხ. ს. ხმალაძის, [illegible] და კოლბეგაძის შემადგენლობით. კომისიამ დაევალა სამი დღის განმავლობაში [illegible] გამოძიება და [illegible] თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 38

1932 წ. ივნისის 19

საქართველოს თავდაცვა და ავიაცია-ქიმიური მშენებლობის მეგობართა საზოგადოების სასროლო შეჯიბრების მონაწილე მუშა-მოსამსახურეთათვის საშუალო ხელფასის შენარჩუნების შესახებ.

საქ. სსრ შრომის სახალხო კომისარიატი საქ. პროფკავშირის საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს:

განთავისუფლებულნი იქნენ მუშაობისაგან საქართველოს თავდაცვის და ავიაცია-ქიმიურ მშენებლობის მეგობართა საზოგადოების სასროლო შეჯიბრების მონაწილე მუშამოსამსახურენი შეჯიბრის განმავლობაში (26 ივლისიდან 1-ლ აგვისტომდე) საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

საქ. სსრ. შრომის სახ. კომისარი — **მორჩილაძე**

შეთანხმებულია საქ. პრ. კავ. საბჭოსთან: **მალსაგოვი**

საქართველოს ცაკთან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტში

მიღების წესები

1. 1932-33 სასწავლო წელს ინსტიტუტში მიღება იწარმოებს ორ ფაკულტეტზე: საბჭოთა აღმშენებლობის და სასამართლო.

2. განაწილებული ადგილების მიხედვით რაიონები და ორგანიზაცია - დაწესებულებები აწარმოებენ უმაღლეს სასწავლებელში შესვლელთა შერჩევა - შემოწმებას და მათ საბუთებს უგზავნიან ინსტიტუტის დირექციას ა-წ. 10 ივლისიდან 10 აგვისტომდე.

3. ინსტიტუტში მიიღებიან მოქალაქენი 18-დან 35 წლამდე.

4. ინსტიტუტში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
1) დაბადების მოწმობა.
ბ) მოწმობა სწავლის დამთავრების შესახებ.
გ) ჯანმრთელობის მოწმობა.
დ) მოწმობა სოციალურ მდგომარეობისა და მუშაობის სტაჟის შესახებ.
ე) ინსტიტუტში შესვლის ანკეტა შემოწმებული პარტიულ, საბჭოთა ან პროფესიონალური ორგანიზაციების მიერ.
ვ) ორი ფოტოგრაფიულ სურათი და
ზ) მივლინების მოწმობა.

შენიშვნა: საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნეს სამ ცალად: ერთი დედანი და ორი ასლი. განცხადებაში აღნიშნული უნდა იქნეს მსმენელის მიერ არჩეული დარგი.

5. 1932-33 წელს მიღებულ იქნება ასი სტუდენტი (თითეულ რაიონს ცალკე დაეგზავნება ცნობები დათმობილი ადგილების რაოდენობის შესახებ).

6. ინსტიტუტის აკადემიურად მომზადებულ კონტინგენტის უზრუნველყოფის მიზნით ინსტიტუტში ჩარიცხვის დროს სოციალურ შერჩევის წესებთან ერთად, იწარმოებს აკადემიური მომზადების შემოწმება: ა) ქართულ ენაში (წერითი და ზეპირი), ბ) მათემატიკაში (წერითი და ზეპირი), გ) ფიზიკაში და ვ) საზოგადოებათმეცნიერებაში. აკადემიური შემოწმების გარეშე მიიღებიან ის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ მუშფაკები და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული მოსამზადებელი კურსები.

7. ინსტიტუტში მისაღები გამოცდები იწარმოებს 18 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე.

8. ინსტიტუტში მიღებული პირები, რომელნიც ინსტიტუტში 7 ოქტომბრამდე არ გამოცხადდებიან, გარიცხული იქნებიან ინსტიტუტიდან.

9. განცხადებები ინსტიტუტის სახელზე უნდა გადმოიგზავნოს რაიონებიდან შემდეგი მისამართით: თბილისი ტრიბუნალის ქუჩა № 32. საქ. საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი.

ჩარიცხული სტუდენტთა 50 პროც. დაკმაყოფილებული იქნება სტიპენდიით.

სწავლა დაიწყება მ-წლის 1-ლი ოქტომბრიდან.

ინსტიტუტის დირექტორი
ბ. კვირკველია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ამხ. სიდოროპულოსთან (ოთახი № 15), ვასილ ელიკაშვილი, კონსტანტინე ერისთავი, ვლადიმერ ელიავა ანტონინა ედომიძე ალექს. ერისთავი ჯაფარ ეფენდიევი აჰრა ელაზზარაშვილი. ლ. ებრელიძე ვ. ენუქაშვილი, ლუკა ებრალიძე, ვასილ ენუქიძე, გრიგოლ ენუქიძე, ივანე ეგიროვი, ვასილ ერიაშვილი, აკაკი ენუქიძე, გრიგოლ ეგნინაძე, სამონ ენუქიძე, არმენაკ ავაკოვი პეტრე ედანოვი თამარა ჟუჟუნავა, გრიგოლ ელენტი, კონსტანტინე უარეხნი, ალექსანდრე ევანია, მარია ჟურავლევა, ივანე ზუტარიძე, უპრაქსია ზაქარეიშვილი, აქსიენტი ზაგოდნოვი, ალექსანდრე ზანგურაშვილი, ნიკოლოზ ზაიჯი, გოგოლ ზარდიაშვილი პ. ზმიევა ლეონტი ზუბაევი, გ. ზასირაშვილი, დავით ზეიცი მიხეილ ზუბიევი არმენაკ ზალაანი, გრიგოლი ზალიევი.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტში ამხ. წილიძის კაბინეტში 20 ივლისს დღის 1 საათზე შესდგება თათბირი 26 კომუნართა სახელობის ქარხნის მდგომარეობის საკითხის განსახილველად. თათბირზე სათანადო მასალებით უნდა გამოცხადდნენ ქარხნის სამკუთხედი, საშეკვეთის გამგეები და უჯრედების მდივნები მანქანათ მშენებელი მუშათა კავშირის ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარე, ლითონტრესტის მმართველი ამხ. მარინი, მძიმე მრეწველობის სახკომისარიატის წარმომადგენელი (ამხ. გოდაბრელიძე) და ამხ. პოდოლსკი.

დღეს საღამოს 7 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტმასგანყოფილებაში (ოთახი № 37) შესდგება თათბირი კასპის ცემენტის ქარხანაში და № 1-ლი „მკერავი"-ს ფაბრიკაში შინასაქარხნო და შემავალ დაგეგმვის მდგომარეობის საკითხზე თათბირი მოისმენს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საქ. სახეგმო კომისიის და საქ. პროფსაბჭოს საწარმოო-საგეგმო სექტორის ბრიგადების მოხსენებას. თათბირში აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: გოცირიძე (მძიმე მრეწვ.), კორბიშვილი, არუთინოვი (ცემ. მრეწვ. ქარხნების მუშათა კავშირი), არამაჯიანი (მკერავთა კავშირი), პაპიაშვილი (მკერავტრესტი), ოგაროვი, წულუკიძე (საქ პროფსაბჭო), ჩხეიძე (მომარაგების კომ.), ბუჩიძე (საგეგმო კომისია), მუსელიანი თბ. საგეგმო კომისია), მახარაძე (მანქანათმშენებლობის კავშირი), ხოფერია (აბრეშუმ-მატყლის მუშათა კავშირი), კინწურაშვილი (მეტყევეთა კავშირი), და აგრეთვე თბილისის კომიტეტის და რაიკომების აგიტმასგანყოფილებების წარმომადგენლები.

დღეს დილის 10 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპში (ოთახი № 21) შესდგება თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: შევჩენკო („ზარია ვოსტოკა"), 6. კიკნაძე („კომუნისტი"), გრიგორიანი („ტიფლისკი რაბოჩი"), ატრიანი („პროლეტარი") და სხვ.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კომიტეტის კადრების განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. გრიშა ვაშაკიძეს, გიორგი ლეკასოვს, იოსებ ჟღენტს, პოლიშჩუკოვს (ანარიცხვის მუშათა გაერთ. კურსები), ელიზბარ ჯოხაძეს 20 ივლისს დილის 11 საათზე გამოცხადდნენ კადრების განყოფილებაში ამხ. არჯევანიძესთან.

20 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ვოროშილოვის კლუბში მოწვეულია
ორჯონიკიძის სახ. რაიონის საკონტროლო კომისიის მეოთხე პლენუმი

აღნიშნულ პლენუმზე სავალდებულოა დასწრება: მუშათა-გლეხთა დამხმარე ჯგუფების საჩივართა ბიუროების, პარტმსაჯულების, გამომძიებლების, ინსპექტორ-სპეციალისტების, სადეპუტატო ჯგუფების, მუდმივ კავალერიის წევრების, კომუჯრედის მდივნების. ევალებათ თავიანთი პასუხისმგებლობის ქვეშ უზრუნველყონ აღნიშნულ ამხანაგების თავის დროზე გამოცხადება. პლენუმზე დასწრება ამხანაგებისათვის სავალდებულოა აღრიცხვაზე ჩატარება.

რაიკომის მდივანი **აფციაური.**
საკ კომისიის თავ-რის მოადგილე **ფრანგულიანი.**

ხმოვანი კინო
ოქტომბერი (ყ. აპოლო)
6-30. 8-30. 10-30.

დამკვრელი (საზაფხ.)
(ყოფ. პალასი)
დასაწყ. 9 ს. 10-45.

დამკვრელი ზამთრის
7 ს. 30 წ., 9. 10-30

კინო დარბაზი საზაფხ.
დასაწყ. 9 15. 11 ს.

ეთერი (საზაფხ.)
9 ს. და 10 ს. 45 წ.

საღამოს კინო
სპარტაკი
დასაწყ. 7-30, 9, 10-30.

რ. ლიუქსემბურ. სახ.
კინო ყოფ. მინიონი)
დასაწყ. 8, 9-30, 11.

ნატო ვაჩნაძის მონაწ. **ნათელას** ახალი ეკზემპლიარი რეჟ. ა. ბეკნაზაროვი პროგ. გარ. საკინმრეწვის ჟურნალი № 11,

ახალი მხატვრული ფილმი
ვაჟი მისურის ნაპირებიდან
პროგრ. გარ. საკინმრეწვის ჟურნ № 12

პატი და პატაშონი კომედიაში
კარიერას დასაწყისი
პროგრამის გარეშე წყალქვეშა ნავი

სომხ. საკინმრეწვის მხატვრული სურათი
ამბავი ხენ-ლუიში რეჟ. ბერნერი
პროგრ. გარ. საკინმრეწვის ჟურნ. № 12

ამერიკ. ფილ. ნგაზ რინ-ტინ-ტინის მონაწ.
ღამის ყვირილი
პროგრ. გარეშე „სოიუზკინის" ჟურნალი.

ვს მეირეხოლდი ზ. რაიხი, ვ. კაჩალოვი მხ. სურ
თეთრი არწივი რეჟ. ი. პროტაზანოვი
პროგ. გარ. კომედია უბადრუკი ორატორი

მხატვრული ფილმი
ექლიანი მავთული მთავარ როლში
პოლა ნეგრი პროგ. გარ. კომ. ნაწყენი ასოები

„მკერავტრესტთან" არსებულ სამკერვალო საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში მიღების პირობები.

სკოლაში მიიღებიან შეიდწლედ დამთავრებულნი

ასაკის 16 წლიდან 21 წლამდე

მსურველმა განცხადებასთან ერთად უნდა წამოადგინონ:
1. შვიდწლედის დამთავრების მოწმობა, 2. სოციალური მდგომარეობის მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი, 4 ჯანმრთელობის მოწმობა, 5. ორი შემოწმებულ ფოტოგრაფიულ სურათით.

მეცადინეობა სკოლაში იწარმოებს ორი წელი, რის შემდეგ კურსდამთავრებულებს მიეცემათ საშუალო სასწავლებლის ცენზი და კვალიფიციური მუშის ცენზი სამკერვალო წარმოებაში, ხოლო საწარმოო სტაჟის გასვლის შემდეგ მიიღებიან უგამოცდოთ უმაღლეს სასწავლებელში.

სკოლაში მიღებულები დაკმაყოფილებული იქნებიან სტიპენდიით, დახურულ-განმანაწილებლით და დახურულ სასადილოთ, აგრეთვე მიიღებიან პროფკავშირის წევრებად, იქნებიან დაზღვეული და სარგებლობენ ისარგებლებენ მუშის უფლებით.

განცხადებები მიიღება სკოლის კანცელარიაში 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე ყოველ დღე, დილის 8 საათ. 3 საათამდე, შემდეგ მისამართით:
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 60 ელიმენი № 29 07.

967 მკერავტრესტის კად. განყ. გამგე ძნელაძე.
სამკ. საფ. საქ სკოლის დირექტორი ა. კოკაშვილი.

საქართველოს სააღმშენებლო ინსტიტუტი აცხადებს
რომ ტაგილსტროიში გან. საწ. სწავლებაზე მივლინებულ სტუდენტები
დაწოვებულნი არიან საქართველოში
ევალებათ ინსტიტუტში გამოცხადება 25 ივლისის მივლინების მისაღებად.
ნ. 1070 დირექცია

ექიმი
ქ.თ.ტყეშელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ვენერიულ, კანის და შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი) პლეხანოვის ქ. № 1
დილ. 8½—9 საღ. 7—8
7788 613—1

ა/წ 21 ივლისს საღამოს სრულ 7 საათზე
განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) მოწვეულია რაიგანათლების განყოფილების გამგეების, ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქის განსახკომებისა და პედ. ტექნიკუმების გამგეების

რესპუბლიკანური თათბირი

შემდეგი დღის წესრიგით:
1 სახალხო განათლების და კულტმშენებლობის მორიგი ამოცანები
2. საყოველთაო სავალდებულო სწავლება და სასკოლო მშენებლობა.
3. საპროგრამო მეთოდიური ხელმძღვანელობის შესახებ.
4. სახალხო განათლების და კულტმშენებლობის მეორე ხუთწლედის შესახებ.
5. პედკადრების მომზადება-გადამზადების შესახებ.
3. მასიური კულტგამანათლებელი მუშაობა და წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.
7. სახელგამის მოხსენება სახელმძღვანელოების გამოცემის მდგომარეობის შესახებ.
8. ა. ლ. კ. კ. ც. კ. მოხსენება ბავშთა კომორგანიზაციების შესახებ

თათბირზე მოწვეულია: ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქის განათლების კომისარიატები, ქალაქის და რაიგანათლების განყოფილების გამგეები. პედტექნიკუმის გამგეები, სამეურნეო ორგანიზაციების და საკომტეტების კადრების სექტორების გამგეები, პროფ და სამეურნეო ორგანიზაციების კულტსექტორების გამგეები პედ. ინსტიტუტის პროფესურა, საქ. კ. პ. (ბ) და ა. ლ. კ. კ. ც. კ.-ისა, თბილისის კომიტეტები და თბ. რაიონების კულტპროპების გამგეები.

20 ივლისს, საღ. 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება **რაიგანათლების განყოფილების გამგეების და განცხადების სექტორების გამგეების გაერთიანებული წინასწარი თათბირი-**

ნ. 1069 განათლების სახ კომისარი **ბედია.**

მალე!
აელიტა
ა. ქ. ტოლსტოის რომანის მიხედვით
თვალი ადვენთ
1073

დაიკარგა: აბრამა ქვიტიაშვილი რიონის სადგურზე, 8 წლის, აცვია ხაკისფერი ბლუზა, შავი მოკლე შარვალი — ფეხშიშველი, თმა შავი გადაპარსული, გაჰყვა საქონლის მატარებელს, მნახველს ვთხოვ შეატყობინოს ქ. ქუთაისი, ინტერნაციონალის ქ. № 2. მოშე ქვიტიაშვილს კარგ ჯილდოს მივცემთ—ვუჩვენებ რკინის გზელებს და დაჭერილებს ადვენით თვალყური.
6—6 9772

ექიმი
ქ. ი. ჯაღლოფი
ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებ.) სიფილისი შემხაპუნება „914", ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება დილ. 8-9 ს. საღ. 6-8 ს. ქალების და ბავშვების მიღება 5-6 ს., მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ. კარლ-მარქსის მოედნის მახლობლად.
ნ. 4828 2—52

ექიმი
ი. ი. ქიმშიაშვილი
სიფილისი ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყოფ. დიდიმთავრის ქუჩა) ალექსანდროვის საავადმყოფ. პირდაპირ.
9320

თბილისის მონადირეების საერთო კრება,
რომელიც არ შესდგა 18 ივლისს, მუშათა სასახლის ახალ დარბაზში,
გადატანილია
22 ივლისს, საღ. 6 საათისათვის
მონქავშირის შენობაში.
მეორედ მოწვეული კრება ჩაითვლება კანონიერად მოწვეულ წევრთა რაოდენობის მიუხედავად.
მონკავშირის მდივანი **ო. ებაძე.**
3—1 968

თბილისის საქალაქო რკინის გზების ტრესტი
აცხადებს, რომ ა.-წ 20 ივლისიდან დაიწყება იმ უფასო სამსახურისა და საოჯახო
ბილეთების ხელახალი რეგისტრაცია
რომლებიც მიეცათ როგორც ტრამვაის მოსამსახურეებს, ისე სახელმწიფო დაწესებულებებს.
ხელახალი რეგისტრაცია სჭირდება 1932 წლისათვის გაცემულ რუხი და მიხაკისფერ ბილეთებს.
რეგისტრაციის ვადა არის ერთი თვე ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, რის შემდეგ რეგისტრაციაში გაუტარებელი ბილეთები ჩაითვლება გაუქმებულად და ჩამორთმეული იქნება.
თბილისის საქალაქო რკ. გზების ტრესტის
დირექტორი **რაზმაძე.**
საქმეთა მმართველი **ჭანტურია.**
1071

ყველას! **ყურადღება** ყველას!
იმ მიზნით, რომ ჩაბმულ იქმნან მაყურებელთა ფართო მასები კინო თეატრებში, 15 ივლისიდან საკინმრეწვი უშვებს სპეციალურ
კინო აბონემენტებს
შესასვლელი ფასი კინო აბონემენტის მიხედვით შემცირებულია 20 პროცენტამდე. აბონემენტები უფასოდ ყოველდღიურად იყიდება კინო თეატრების — დამკვრელის, ეთერის და დარბაზის სალაროში.
აბონემენტებით სარგებლობის პირობები გამოკრულია თეატრების სალაროებთან.
ნ. 1074

ფიროსმა, ნინა, ძიმა, პეტრე, საია. ბაგრატი ვახტანგიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს მათთვის საყვარელ რძლის
მარგალიტა ვახტანგიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. 9947

აგრაფენა და ალექსანდრე ლეჟავები, ნადია ბოლქვაძე, ევგენი ურუშაძე, ნინო ბალავაძე ვიზიარებთ ხესტიო ოცილავაძის ოჯახის მწუხარებას
მელანია ოდილავაძის
გარდაცვალების გამო. 9946

კომკავშირის რაიკომის თანამშრომლები: დოლიძე, კალანდაძე, ლომთაძე, მეფარიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ რაიკომის მომუშავე ამხ. ევგენია ხუნდაძეს მისი დის
ფაციას
გარდაცვალების გამო. 9954

პეტრე დავითის-ძე ლორთქიფანიძის ოჯახი იუწყება, რომ საყვარელ
ოლინკა ბექოს-ასულ ლორთქიფანიძის
ხსოვნის აღსანიშნავად ქ. ხაშურში 24 ივლისს 3 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 9950

სერგო, ქსენია ხაცელიშვილები, ბართლომე, თამარა ჯაბოკიძეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი, საყვარელი, მათი ბიძაშვილის შვილის
ლამარა ვარლამის ასულ ჯავახაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 9952

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე თამარა, შვილი ქეთი ჩაჩიბაიები, შვილი მარო, სიძე კოლია მაქაცარიები აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი
დავით ტიას-ძე ჩაჩიბაია
დაკრძალვა მოხდა 14 ივლისს. ნ. 1072

დამწუხრებულნი: დედა დარია, ბიძია ივანე, ძმა მიშა, დები: ლოლა ჟორჟენაძე, საშა, ნინო, სონა ქამარშვილით იუწყებიან, რომ 23 ივლისს, ს. სუფსაში დანიშნულია უდროოდ დაკარგულ მასწავლებლის
თამარ ჟორჟენაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 9949

სენაკის ქალაქის კოოპერატივის კანტორის თანამშრომლები: ე. მატახერია, ი კალანდარიშვილი, ი. შეროზია, ა. კოდუა, ზ. არზიანი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გამგეობის თავმჯდომარის ი. ნოდიას მეუღლის
ალექსანდრა ნოდიას
გარდაცვალების გამო. 9931

სენაკის სამომხმარებლო რაიკავშირის გამგეობა და თანამშრომლები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ გამგეობის წევრის, ქალაქის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის ი. ნოდიას მეუღლის
ალექსანდრა ჭიჭინაძის ასულ ნოდიას
გარდაცვალების გამო. 9928

დამწუხრებულნი: მამა ივანე და მარიამი ჭუჭუნაძე, დედამთილი, შვილები: ირაკლი, არჩილი კოპაღიშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 22 ივლისს 6 ს. ავლაბრის სასაფლაოზე დანიშნულია ძვირფას
ნინა ჭუჭუნაძე-კოპაღიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 9948

დამწუხრებული ცოლი ნინა, შვილები: თამარო, ვერა, დები: ოლა, ნინა, ძმა გიორგი, რძალი მარუსა შვილებით, ბიძაშვილები: შაქრო, შალიკო მწუხარებით იუწყებიან
ვანო იოსების ძე ედიშერაშვილის
უეცრად გარდაცვალებას. დასაფლავების დღე ცალკე გამოცხადდება.

დამწუხრებული მშობლები: მაქსიმე, მაკრინე, გულმოკლული და ბაბილი ძმა აკაკი, რძალი ნინა. ბიძაშვილი ენვერი კვატაშიძეები იუწყებიან, რომ 24 ივლისს მეტეხში დანიშნულია მათთვის ძვირფას, დაუვიწყარ
ლიდას
სამოქალაქო პანაშვიდი. 9953

დამწუხრებული დედა ანნა, და ნადია; ძმები: დიომიდე, გრიგორი, ალიოშა ცინცაძეები: და ძმისი, სიძე პ ფირცხალაშვილები, ბებია ფოტინე იუწყებიან, რომ 20 ივლისს, 4 ს. ქ. ლანჩხუთში დანიშნულია
ვალიკო ივანეს-ძე ცინცაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 9945

ქ. ბათომში გარდაიცვალა
სიკო ჟორჟაძე
რასაც აუწყებენ საზოგადოებას დები: სოფია, თამარა ივანეს-ასული ჟორჟაძე, ოლღა ივანეს ასული ანდრონიკაშვილისა ქმარშვილით, დისწულები: მარუსია გერსამია ქმარშვილით, ვაიჩქა სიდამონ-ერისთავი. 9955

მწუხარებაში მყოფი შვილები: ვარლამი ნინა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს, რომ 15 ივლისს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი ერთად-ერთი პატარა
ლამარა ჯავახაძე
დაკრძალვა მოხდა 19 ივლისს ქ ქუთაისში. 9952

დამწუხრებული დედა ქრისტინე, რძალი ანნა, ძმა იოსებ (ლეკა) იუწყებიან, რომ 24 ივლისს, სოფ. ვაზში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
ერასტი ხუხუნაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 9933

სენაკის ქალაქის კოოპერატივის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე გამგეობის თავმჯდომარე იონა ნოდიას მეუღლის
ალექსანდრა ნოდიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 19 ივლისს.
9930

დედა ცინარე, მეუღლე ვერა ფარცვანია-ჟორჟაძე, ძმები ირაკლი, ბოჯლა, დები: ფეფუ, ტატიანა. თამარა რაისა. აღმზრდელი ცირე იუწყებიან სას.-სამ. ინსტიტუტის 1-ლი კურსის სტუდენტის
ბაგრატ მიხას ძე ჟორჟაძის
გარდაცვალებას. 9955

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის სტამბა კამოს ქ. № 68
მთავლიტის რწმუნებული ა 1110